

სახელმძღვანელო

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის
სტუდენტებისათვის

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი

სამართალი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტი

„არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში“



გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material

ავტორი: კახა გაბუნია

კონცეფციის ავტორები: კახა გაბუნია, ჭაბუკი ქირია

რედაქტორი: ქეთევან გოჩიტაშვილი


ISBN

თემა 1

სამართალი და სამართლიანობა

რას ნიშნავს სიტყვა მართი?

მართი კუთხე
= სწორი კუთხე (სინონიმი)



სიტყვა მართისგანაა ნაწარმოები მართალი, ანუ სწორი (სინონიმი).

1.

სამართალი

(დაესმის კითხვა რა?)

სიტყვა სამართალი ასე იწარმოება: სა-მართ-ალ-ი

სამართლიანი

(დაესმის კითხვა როგორი?)

სიტყვა „სამართლიანი“ სამართალ ფუძისგან იწარმოება: სამართალ+იან-ი

2. სიტყვა „სამართლიანობა“ კიდევ უფრო გართულებული სიტყვაა;
როგორ იწარმოება ეს სიტყვა?

სამართლიანობა - ?

3. საკითხავ ტექსტში საუბარია „სამართალსა“ და „სამართლიანობაზე“. დაიყავით ჯგუფებად და ტექსტის წაკითხვამდე წარმოადგინეთ თქვენ-თქვენი მოსაზრებები, რა განსხვავებაა „სამართალსა“ და „სამართლიანობას“ შორის.

4. წაიკითხეთ ტექსტი ყურადღებით.

სამართალი და სამართლიანობა

სამართლიანობის სრულყოფილი განსაზღვრების ჩამოყალიბება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ყველა თანხმდება, რომ სამართლიანობა წარმოადგენს **ფასეულობით ღირებულებას**, ერთ-ერთს იმ მიზნებიდან, რომელსაც ადამიანი ისახავს უკეთესი ცხოვრების მისაღწევად. სამართლიანობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „დიდი, კეთილი საქმე“, რომელსაც ცდილობს, რომ იცნობდეს კაცობრიობა“, – აღნიშნავდა დენის ლოიდი. ეს „დიდი“ და „კეთილი“ საქმე შეიძლება წარმოადგენდეს როგორც საშუალებას, ისე **თვითმიზანსაც**. მაგალითად, ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება, რომლის მიღწევაც, დამეთანხმებით, ყველა ჩვეულებრივი (და ნორმალური) ადამიანის მიზანია და ჩვეულებრივი ადამიანური თავისუფლება, რომელიც გარკვეულწილად წარმოადგენს მისი მიღწევის საშუალებას.

სამართლიანობა, როგორც ღირებულებით ფასეულობათა სისტემა, იცვლება დროისა და მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ ფაქტია, რომ ყოველთვის არსებობდა (და არსებობს) ერთი **გლობალური** მიზანი, რომელიც უნდა იყოს საწყისი, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის, ასევე *სამართლისათვის*. და ეს გლობალური მიზანი არის სწორედ *სამართლიანობა*.

არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერ საზოგადოებას მოეპოვება ღირებულებათა **იერარქია**, „თანაც ზოგიერთი მათგანი, ხშირად, საშუალებაა მეორე-უფრო მაღალი ღირებულების მისაღწევად. მიიჩნევა, რომ საბოლოოდ სწორედ ეს მიიყვანს ადამიანს ე.წ. „აბსოლუტურ სიკეთემდე“. „**აბსოლუტური სიკეთე**“ იმდენად **აბსტრაქტული** ცნებაა, რომ მისი მნიშვნელობის არათუ გაგება, წარმოდგენაც კი სცილდება ადამიანური **ცნობიერების** საზღვრებს. „აბსოლუტური სიკეთის“ მწვერვალი *სამართლიანობაა*. თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ თავად არისტოტელე მიიჩნევდა *სამართლიანობას* ღირებულებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურად.

სამართლიანობის იდეა ხშირად ასოცირდება სამართალთან. მაგრამ სამართლიანობა ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე *სამართალი* და შეიძლება მისი პრინციპების გამოყენება ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე წესების ერთობლიობა. სამართალი უნდა „განასახიერებდეს“ სამართლიანობას, რადგან **ნორმა**, რომელიც არ არის სამართლიანი - თავისივე თავის უარყოფაა, იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებაში მისი რეალიზების პროცენტი ძალიან დაბალია.

სამართალსა და სამართლიანობას შორის საკმაოდ კონტრასტული მიჯნაა.

ხშირად დაისმის კითხვა - სამართლიანია თუ არა თავად მოქმედი ნორმები? აღიარებულია, რომ ნორმაც შეიძლება იყოს **უსამართლო**. კანონიერი უსამართლობა სამართლის სერიოზული და დღესაც აქტუალური პრობლემაა. არისტოტელეს აზრით, ყველაფერი უსამართლო - უკანონოა. „იდეა ის არის, რომ უსამართლო კანონი - კანონი

არ არის“. რასაკვირველია, თავისუფალი მიდგომით კანონმაც შეიძლება დაკარგოს სამართლიანობის არსი, მაგრამ არ უნდა დაგვაფინყდეს, რომ ამით ის არ შეწყვეტს კანონად ყოფნას, მისივე მკაცრი გამოყენებითი დანიშნულების გამო. არც ის უნდა დაგვაფინყდეს, რომ კანონს ყველა თავისებურად კითხულობს და აღიქვამს ისე, როგორც მას აძლევს ხელს. სწორედ ესაა პრობლემა! უსამართლოდ შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ნორმა და ეს დამოკიდებულია ნორმის **ადრესატის** მოთხოვნილებაზე, აღიქვას ნორმა ისე, როგორც მას „აძლევს ხელს“ ან აღიქვას ის ობიექტურად. ანდრე მორუა აღნიშნავდა: „კანონი მაშინ იქნება უსამართლო, როცა იქნება აბსურდული, და იქნება აბსურდული, როცა მისი აღქმა არ დაეფუძნება საღ აზრს“. ესეც ერთგვარი გადანწყვეტა დიდი პრობლემისა. თუმცა, რასაკვირველია, ანდრე მორუას ეს გენიალური ფრაზა ყველა კანონზე არ ვრცელდება. მაგალითად, **კანონი**, რომელიც არღვევს ადანიანის **უფლებებსა** და თავისუფლებას, თავისთავად უსამართლოა.

სამართლიანობა იცვლება დროსთან ერთად (ან დროის მიხედვით). მაგალითად, ძველი ბერძნები *სამართლიანობად უთანასწორობას* მიიჩნევდნენ (ის, რომ არსებობდა მონა და მისი მფლობელი, მათი აზრით, სამართლიანი იყო!). დღეს კი **თანასწორობა** სამართლიანობის არსს შეადგენს. სამართლიანობა არ უნდა გავაიგივოთ *თანასწორობასთან*, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ თანასწორობა სამართლიანობის შინაარსის ერთ-ერთი განმსაზღვრელია.

თანასწორობა თავისთავად სამართლის ცნების შინაარსშიც ფიგურირებს, მაგრამ სამართალი ათანასწორებს **ინდივიდებს** კანონის წინაშე და არა ერთმანეთთან მიმართებით. სწორედ ეს არის განსხვავება *სამართალსა* და *სამართლიანობას* შორის. სამართლიანობა მოითხოვს თანასწორობას ყველგან და ყველაფერში!

სამართალი სამართლიანობის გარეშე ვერ უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფლებას. საზოგადოება, რომელშიც რეალურად არ მოქმედებს სამართლიანობის პრინციპი, ვერ განვითარდება. თუმცა არც ის უნდა დაგვაფინყდეს, რომ „სამართლიანი სამართალი **ღვთიური წესრიგია**“ (პლატონი).

5. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

6.1.

- ა. სამართალი და სამართლიანობა ერთი და იგივეა.
- ბ. სამართლიანობა კონკრეტული ცნებაა; სამართალი - ზოგადი.
- გ. სამართლიანობა ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სამართალი.
- დ. სამართალიანობა ადამიანებს შორის შეთანხმების შედეგია, სამართალი - ღვთიური ჭეშმარიტება.

6.2.

- ა. თანასწორობა ნიშნავს სამართლიანობას.
- ბ. თანასწორობა უფრო მეტია, ვიდრე სამართლიანობა
- გ. თანასწორობასა და სამართლიანობას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.
- დ. თანასწორობასამართლიანობისშინაარსისერთ-ერთი განმსაზღვრელია.

6.3.

- ა. სამართლიანობა იცვლება დროსთან ერთად.
- ბ. დრო იცვლება სამართლიანობასთან ერთად.
- გ. სამართლიანობა დროა.
- დ. დროსა და სამართლიანობას ერთმანეთთან არა აქვთ კავშირი.

7. უპასუხეთ კითხვებს:

- 7.1. რის ღირებულებათა სისტემას წარმოადგენს სამართლიანობა?
- 7.2. რას აღნიშნავდა დენის ლოიდი სამართლიანობის შესახებ?
- 7.3. რა სხვაობაა ცნებებს - „სამართალსა“ და „სამართლიანობას“ შორის?
- 7.4. რისი მწვერვალია სამართლიანობა?
- 7.5. სამართლიანია თუ არა თავად მოქმედი ნორმები?
- 7.6. შესაძლებელია თუ არა, კანონი იყოს უსამართლო?
- 7.7. რას აღნიშნავდა ანდრე მორუა უსამართლო კანონის შესახებ?
- 7.8. რა კავშირია თანასწორობასა და სამართლიანობას შორის?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

თავისუფლებას უსამართლო წესრიგია სამართალი თანასწორობა

- 8.1., თავისთავად, სამართლის ცნების შინაარსშიც ფიგურირებს.
- 8.2. კანონი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებსა და - თავისთავად უსამართლოა
- 8.3. სამართლიანი.....ღვთიური წესრიგია.
- 8.4. კანონი მაშინ იქნება....., როცა იქნება აბსურდული.

8.5. სამართლიანი სამართალი ღვთიური.....

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

9.1. „აბსოლუტური სიკეთე“ კონკრეტული ცნებაა. _____

9.2. სამართლიანობა სამართლის ღირებულებითი მასშტაბია. _____

9.3. სამართალსა და სამართლიანობას შორის საკმაოდ კონტრასტული მიჯნაა.

9.4. სამართალი სამართლიანობის გარეშეც უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფლებას. _____

9.5. არ არსებობს უსამართლო კანონი. _____

10. წარმოდგენილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

10.1. არღვევს უსამართლოა რომელიც კანონი ადამიანის თავისთავად უფლებებსა და თავისუფლებას

10.2. უნდა გაუაიგივოთ თანასწორობასთან სამართლიანობა არ

10.3. ბევრად ცნებაა ვიდრე უფრო ფართო სამართალი

11. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ნორმები იერარქია უსამართლოა თვითმიზანსაც

11.1. ეს „დიდი“ და „კეთილი“ საქმე შეიძლება წარმოადგენდეს როგორც საშუალებას, ისე
.....

11.2. ხშირად ისმება კითხვა - სამართლიანია თუ არა თავად მოქმედი
.....?

11.3. კანონი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, თავისთავად
.....

11.4. არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერ საზოგადოებას მოეპოვება ღირებულებათა
.....

12. სიტყვა „სამართალს“ ძალიან ჰგავს სიტყვა „სიმართლე“. დაიყავით ჯგუფებად, მოამზადეთ პრეზენტაცია და წარმოადგინეთ, რა განსხვავებაა ამ ცნებებს შორის.

თემა 2 სამართლის დარგები

1. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლ-ი) მოიძიეთ სიტყვა „დარგის“ განმარტება:

2. თქვენ უკვე ისწავლეთ, რას ნიშნავს სიტყვა „სამართალი“. გაიხსენეთ და გაიმეორეთ მისი განმარტება.

3. იმჯელეთ, რას უნდა ნიშნავდეს ტერმინი „სამართლის დარგები“. ყველამ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

სამართლის სისტემა. სამართლის დარგები

სახელმწიფოს განვითარების ისტორიული ტიპები ხასიათდება კონკრეტული პერიოდის ადამიანთა სავალდებულო ქცევის წესებით – სამართლის ნორმებით. ეს ნორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება თავიანთი შინაარსით, მაგრამ, ამავე დროს, ახასიათებთ საერთო საფუძველი და პრინციპები, რაც უზრუნველყოფს ამა თუ იმ ქვეყნის ერთიანი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებას.

ქვეყნის სამართლის სისტემა განპირობებულია საზოგადოების ეკონომიკური წესწყობილებით, იურიდიული ნორმების ერთიანობით. სამართლის სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია **სამართლის დარგები**.

სამართლის დარგი - ეს არის თითოეულ ქვეყანაში მოქმედი იურიდიული ნორმების გარკვეული ჯგუფი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ განსაზღვრულ სფეროს.

სამართლის ნორმების დაჯგუფება დარგებად იმის მიხედვით ხდება, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელ მხარეებს აწესრიგებენ ისინი.

მოქმედი სამართლის სისტემა შემდეგ ძირითად დარგებად იყოფა: **კონსტიტუციური** (სახელმწიფო) სამართალი, **ადმინისტრაციული** სამართალი, **სამოქალაქო** სამართალი, **შრომის** სამართალი, **სისხლის** სამართალი.

მოკლედ შევეხოთ ზოგიერთ მათგანს:

სამართლის სისტემაში წამყვანი და უმნიშვნელოვანესი დარგია კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, რადგან მისი სამართლის ნორმები ეხება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას; ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს; მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს; სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურას და სხვ.

კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კონსტიტუცია.

ადმინისტრაციული სამართალი არის **საჯარო** სამართლის ერთ-ერთი დარგი, რომელიც აერთიანებს სამართლის ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციულ მოწყობას და მათ მიერ **მმართველობითი ფუნქციების** განხორციელებას. იგი ასევე აწესრიგებს მმართველობის ორგანოებთან ადამიანების ურთიერთობის საკითხებს და ადგენს მოქალაქის უფლებებსა და ვალდებულებებს მმართველობით ორგანოებთან მიმართებით.

სამოქალაქო სამართალი სამართლის სისტემის ის დარგია, რომლის ნორმებიც არეგულირებს **ქონებრივ ურთიერთობებს** და **არაქონებრივი** ხასიათის პირად ურთიერთობებს საზოგადოებაში. სამოქალაქო სამართლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია ქონებრივი (სანივთო) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, საოჯახო სამართალი და მემკვიდრეობითი სამართალი.

შრომის სამართალი თავისი ნორმებით არეგულირებს უმთავრესად **შრომითი ხასიათის ურთიერთობებს**. კერძოდ, შრომის ხელშეკრულება, სამუშაოს დრო და დასვენების დრო, შრომის დისციპლინა და სხვა.

სისხლის სამართალი სამართლის ისეთი დარგია, რომელიც წარმოადგენს ისეთი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა ითვლება დანაშაულად.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

6.1.

- ა. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი ერთი და იგივეა.
- ბ. სამოქალაქო სამართლის ნორმები არეგულირებს ქონებრივ ურთიერთობებს.
- გ. კონსტიტუციური სამართალი კონსტრუქციას არ ცნობს.
- დ. სამართლის ნორმები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება თავიანთი შინაარსით.

6.2.

- ა. შრომის სამართალი კონსტიტუციურ ურთიერთობებს არკვევს.
- ბ. შრომაში სახელმწიფო კანონები არ ერევა.
- გ. შრომის სამართალი თავისი ნორმებით არეგულირებს უმთავრესად შრომითი ხასიათის ურთიერთობებს.
- დ. შრომის სამართალი სისხლის სამართლას ეფუძნება.

7. უპასუხეთ კითხვებს:

- 7.1. რით ხასიათდება სახელმწიფოს განვითარების ისტორიული ტიპები?
- 7.2. რა უზრუნველყოფს ამა თუ იმ ქვეყნის ერთიანი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებას?
- 7.3. რითაა განპირობებული ქვეყნის სამართლის სისტემა?
- 7.4. განმარტეთ სამართლის დარგი.
- 7.5. რის მიხედვით ხდება სამართლის ნორმების დაჯგუფება დარგებად?
- 7.6. ჩამოთვალეთ სამართლის დარგები.
- 7.7. რომელია სამართლის სისტემაში წამყვანი და უმნიშვნელოვანესი დარგი?
- 7.8. რა წარმოადგენს კონსტიტუციური სამართლის ძირითად წყაროს?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

სამართლის ხელისუფლების საზოგადოებრივი კონსტიტუციური ნორმების

სამართლის დაჯგუფება დარგებად იმის მიხედვით ხდება, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელ მხარეებს აწესრიგებენ ისინი. მოქმედი სისტემა შემდეგ ძირითად დარგებად იყოფა: (სახელმწიფო) სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, სისხლის სამართალი.

კონსტიტუციური სამართლის ნორმები ეხება სახელმწიფო განხორციელებას; ქვეყნის წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს,

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

- 9.1. კონსტიტუციური სამართლის ნორმები ეხება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას; ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს... _____
- 9.2. კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მინისტრის ბრძანებები. _____
- 9.3. ადმინისტრაციული სამართალი არის კერძო სამართლის ერთ-ერთი დარგი.

- 9.4. სამოქალაქო სამართალი სამართლის სისტემის ის დარგია, რომლის ნორმებიც არეგულირებენ ქონებრივ ურთიერთობებს. _____
- 9.5. ქვეყნის სამართლის სისტემა განპირობებულია საზოგადოების ეკონომიკური წესწყობილებით, იურიდიული ნორმების ერთიანობით. _____

10. წარმოდგენილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

10.1. სამართლის წარმოადგენს ძირითად წყაროს კონსტიტუცია კონსტიტუციური

10.2. დარგია სამართალი წამყვანი უმნიშვნელოვანესი სამართლის და კონსტიტუციური სისტემაში

11. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შინაარსით სფეროს დარგები ნორმებით

- 11.1. სახელმწიფოს განვითარების ისტორიული ტიპები ხასიათდებიან კონკრეტული პერიოდის ადამიანთა სავალდებულო ქცევის წესებით – სამართლის
- 11.2. ეს ნორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი
- 11.3. სამართლის სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია სამართლის
- 11.4. სამართლის დარგი - ეს არის თითოეულ ქვეყანაში მოქმედი იურიდიული ნორმების გარკვეული ჯგუფი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ განსაზღვრულ

12. ყურადღებით გადაიკითხეთ ტექსტი და თქვენი სიტყვებით განმარტეთ იქ მოცემული სამართლის თითოეული დარგი:

კონსტიტუციური სამართალი - _____

ადმინისტრაციული სამართალი - _____

სამოქალაქო სამართალი - _____

შრომის სამართალი - _____

სისხლის სამართალი - _____

13. გადმოეცით ტექსტი თხრობით.

საშინაო დავალება:

14. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 3

კონსტიტუციური სამართალი

1. რა არის კონსტიტუცია? დაიყავით ჯგუფებად და ჩამოაყალიბეთ განსაზღვრება.
2. თქვენ უკვე იცით, რას ნიშნავს სამართალი. იმსჯელეთ, რას უნდა ნიშნავდეს „კონსტიტუციური სამართალი“?
3. წაიკითხეთ ტექსტი:

კონსტიტუციური სამართლის არსი

ცნებებს „კონსტიტუციური სამართალი“ და „სახელმწიფო სამართალი“ ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ, თუმცა ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში) სამართლის ძირითადი დარგის სახელწოდებად გამოიყენებენ ტერმინს „სახელმწიფო სამართალი“. დანარჩენ სახელმწიფოებში, რომელთა შორის საქართველოც არის, **სამართალშემოქმედებით**, სამეცნიერო, სასწავლო პროცესში უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს „კონსტიტუციური სამართალი“.

სამართლის თეორიაში სამართლის სისტემის შინაგანი დიფერენციაციისას, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ მის შემდეგ დონეებს: **სამართლის ნორმა, სამართლებრივი ინსტიტუტი, სამართლის დარგი**. სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კონსტიტუციური სამართლის საგნის არსში წვდომის სხვადასხვა მიდგომა. სამართლის დარგს, ჩვეულებრივ, განმარტავენ როგორც სამართლის ნორმების, ქცევის წესების სისტემას, რომლებიც ამ დარგისათვის დამახასიათებელი მეთოდით არეგულირებენ ერთგვაროვან **საზოგადოებრივ ურთიერთობებს**. სამართლის დარგის ამგვარი გაგებიდან შეიძლება გამოვყოთ ყველა დარგისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ნიშან-თვისებები, რომლებითაც ისინი სხვა დარგებისაგან განსხვავდება. სამართლის ყველა დარგისათვის საერთო ნიშან-თვისებებია ის, რომ ყველა დარგი ნორმების, ქცევის წესების სისტემაა, ეს ნორმები სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი და დაცული, სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ხდება იმ 14 ურთიერთობის რეგულირება, რომელთაც სახელმწიფო სამართლებრივ რეგულირებას დაქვემდებარებულად ჩათვლის. ყველა ეს ნიშან-თვისება აქვს კონსტიტუციურ სამართალს, ამიტომ შესაძლებელია მისი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგის, იდენტიფიცირება.

კონსტიტუციური სამართალი არის საჯარო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული იმ ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც მონოღებულია უზრუნველყოფის ხელისუფლების ორგანიზაციის

ლევტიმურობა, ქმედითუნარიანი სახელმწიფოსა და ადამიანის თავისუფლების ჰარმონიული (განონასწორებული) თანაარსებობა.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

5.1. ცნებებს „კონსტიტუციური სამართალი“ და „სახელმწიფო სამართალი“ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ.

5.2. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სამართლის ძირითადი დარგის სახელწოდებად გამოიყენებენ ტერმინს „სახელმწიფო სამართალი“.

5.3. სამართლის თეორიაში სამართლის სისტემის შინაგანი დიფერენციაციისას, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ მის შემდეგ დონეებს: სამართლის ნორმა, სამართლებრივი ინსტიტუტი, სამართლის დარგი.

5.4. სამართლის ყველა დარგისათვის საერთო ნიშან-თვისებებია ის, რომ ყველა დარგი ნორმების, ქცევის წესების სისტემაა, ეს ნორმები ერთი კაცის მიერ არის დადგენილი და დაცული.

5.5. კონსტიტუციური სამართალი არის საჯარო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული იმ ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც მონოღებულია უზრუნველყოფის ხელისუფლების ორგანიზაციის ლევტიმურობა.

6. უპასუხეთ კითხვებს:

6.1. არის თუ არა განსხვავებაა ცნებებს „კონსტიტუციური სამართალი“ და „სახელმწიფო სამართალს“ შორის?

6.2. რომელ დონეებს გამოყოფენ სამართლის თეორიაში სამართლის სისტემის შინაგანი დიფერენციაციისას?

6.3. რას არგულირებს სამართლის დარგები?

6.4. რის უზრუნველყოფისთვის არის მონოღებული კონსტიტუციური სამართალი?

7. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

დაცული სამართლებრივი ლევტიმურობა ქცევის საჯარო ნორმა სამართლის

სამართლის თეორიაში სისტემის შინაგანი დიფერენციაციისას, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ მის შემდეგ დონეებს: სამართლის, ინსტიტუტი, სამართლის დარგი.

სამართლის ყველა დარგისათვის საერთო ნიშან-თვისებებია ის, რომ ყველა დარგი ნორმების, წესების სისტემაა, ეს ნორმები სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი და

კონსტიტუციური სამართალი არის ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული იმ ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც მონოღებულია უზრუნველყოს ხელისუფლების ორგანიზაციის, ქმედითუნარიანი სახელმწიფოსა და ადამიანის თავისუფლების ჰარმონიული თანაარსებობა.

8. წარმოდგენილი არეული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

სამართლის წარმოდგენს ძირითად წყაროს კონსტიტუცია კონსტიტუციური

საგნის ლიტერატურაში კონსტიტუციური წვდომის სასწავლო სხვადასხვა და სამეცნიერო არსებობს სამართლის არსში მიდგომა.

9. იმუშავეთ ჯგუფებად: მიღებული ცოდნისა და მოცემული ტექსტის მიხედვით ააგეთ მსჯელობა: ` კონსტიტუცია – ქვეყნის ძირითადი კანონი `.

10. გადმოეცით ტექსტის მოკლე შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

11. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 4 სამოქალაქო სამართალი

1. რას ნიშნავს სიტყვა ქალაქი?

ქალაქი

2. დაუკვირდით, როგორ იწარმოება ტერმინი და დაიმახსოვრეთ:

ქალაქი ---> მო-ქალაქე

მოქალაქე - ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომი, მისი სრულუფლებიანი წევრი, რომელიც სარგებლობს ამ სახელმწიფოს ყველა კონსტიტუციური უფლებით. სრულწლოვანი ადამიანი, საზოგადოების წევრი.

3. გაიხსენეთ სა- - -ო აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები. გამოთქვით აზრი, რას აღნიშნავს სა- -ო პრეფიქს-სუფიქსი?

4. დავაკვირდეთ სიტყვას სა-მოქალაქ(ე)-ო

თქვენი სიტყვებით ახსენით მნიშვნელობა სიტყვისა **სამოქალაქო**.

სამოქალაქო - მოქალაქეობის ურთიერთშორის სამართლებრივი დამოკიდებულებისა და სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებთან მათი ურთიერთობისათვის განკუთვნილი (ქველ).

ქველ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ამ ლექსიკონში თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ ნებისმიერი

სიტყვა და გაიგოთ მისი განმარტება ქართულად.

5. წაიკითხეთ ტექსტი ყურადღებით

სამოქალაქო სამართლის ცნება და სისტემა

სამართალი ორ ნაწილად იყოფა – **კერძო** და **საჯარო** სამართლად. სამართლის ის ნაწილი, რომელიც აწესრიგებს კერძო პირთა შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს, კერძო სამართალი ეწოდება. კერძო

სამართლებრივი ურთიერთობის მაგალითებია ნასყიდობა, ჩუქება, ქირაგნობა და სხვ. რაც შეეხება, საჯარო სამართალს ეს არის სახელმწიფოსათვის დანერგილი სამართალი, რომლის საფუძველზე სახელმწიფო და მისი ორგანოები დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ. მისი მაგალითებია სამშენებლო ნებართვა, **სამენარმეო** საქმიანობაზე **ლიცენზიის** გაცემა და ა.შ. სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ნაწილია. სამოქალაქო სამართალს მიიჩნევენ ზოგად კერძო სამართლად სპეციალური სამართლის მიმართ. კერძო სამართლის სპეციალურ დარგებს განეკუთვნება: მენარმეთა, ინტელექტუალური საკუთრების, შრომის და საკორპორაციო სამართალი. ხოლო საჯარო სამართლის სისტემას განეკუთვნება: **სახელმწიფო, კონსტიტუციური, საგადასახადო, საბაუო და საპროცესო** სამართალი.

სამოქალაქო სამართლის წყაროები

მეცნიერები ასახელებენ სამოქალაქო სამართლის წყაროთა ორ სახეს: სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონსა და **ჩვეულებას**. კანონის ცნება ფართო გაგებით გამოიყენება და მასში იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ კანონი, არამედ ნებისმიერი სახელმწიფო **აქტი**, რომელიც **სამართლის ნორმას** შეიცავს. ასეთ აქტს ეწოდება **ნორმატიული აქტი**. ნორმატიულ აქტებში განმტკიცებულ სამართლის ნორმათა ერთობლიობას უწოდებენ პოზიტიურ სამართალს. რაც შეეხება ჩვეულებით სამართალს, იგი წარმოიშობა მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი გამოყენებისა და ხალხის **მართლშეგნებაში** მათი დამკვიდრების შედეგად. სამართლის წყაროთა **იერარქია** დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა **ლეგიტიმაციის** დონეზე.

კანონი სამართლის უმაღლესი წყაროა. ფორმალური გაგებით კანონად მიიჩნევა მხოლოდ პარლამენტის ან რეფერენდუმის გზით მიღებული ნორმატიული აქტები. მატერიალური გაგებით კანონად ჩაითვლება ყველა ნორმატიული აქტი, მათ შორის - საკუთრივ კანონიც, რომელიც კომპეტენტური ორგანოს მიერ არის მიღებული. სამოქალაქო კოდექსმა ჩვეულებებიც სამართლის წყაროდ აღიარა. ისინი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ჩვეულების არსებობის დადასტურება ან აღირება სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი იქნება გამოყენებული.

სამოქალაქო სამართლის ობიექტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ობიექტებს განამტკიცებს სანივთო სამართალში. ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ქონება. ქონება - ეს არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს არ არის აკრძალული კანონით.

სამოქალაქო კოდექსი ობიექტებს ორ დიდ ჯგუფად ყოფს: ნივთებად და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებად. ნივთები პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნებია. ნივთს არ განეკუთვნება ადამიანი ან მისი სხეული, ადამიანის სხეულის ნაწილები, ვიდრე ისინი ცოცხალი ორგანიზმის ნაწილს წარმოადგენენ, ასევე არ არიან ნივთები. ორგანიზმიდან მათი მოცილებისა და მათზე გარიგების დადების მომენტიდან ისინი ნივთები არიან. ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს, ისინი მხოლოდ იურიდიული ფიქციის გზით შეიძლება გავუთანაბროთ ნივთებს, როცა საუბარია ნასყიდობის ან სხვაგვარ გარიგებაზე. ნივთები იყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებად. მათ შორის სამართლებრივი განსხვავება ყველაზე მეტად ჩანს მათზე საკუთრების შექმნისას. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მცენარეებითა და შენობა-ნაგებობებით. **მოძრავია** ნებისმიერი ნივთი, რომელიც სამოქალაქო კოდექსით არ არის უძრავი. მოძრავი ნივთები თავისთავად კიდევ იყოფა **შეცვლად** და **შეუცვლად**, **გვაროვნულ** და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ, **მოხმარებად** და **მოუხმარებად** ნივთებად. რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს - სამოქალაქო კოდექსი ასახელებს მოთხოვნებს და უფლებებს. **უფლებებს**, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, განეკუთვნება საავტორო და მომიჯნავე უფლებები. მას ასევე განეკუთვნება უფლებები სამრეწველო საკუთრების ობიექტზე.

6. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:
7.1. სამართალი სამ ნაწილად იყოფა.

- 7.2. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მაგალითებია ნასყიდობა, ჩუქება, ქირავნობა.
- 7.3. სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ნაწილია.
- 7.4. სახელმწიფო აქტს, რომელიც სამართლის ნორმას შეიცავს, ეწოდება ნორმატიული აქტი.
- 7.5. ჩვეულებითი სამართალი პოზიტიური სამართალია.
- 7.6. კანონი სამართლის უმთავრესი წყაროა.
- 7.7. ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე.

8. უპასუხეთ კითხვებს:

- 8.1. რამდენ ნაწილად იყოფა სამართალი?
- 8.2. ჩამოთვალეთ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მაგალითები.
- 8.3. რა განეკუთვნება საჯარო სამართლის სისტემას?
- 8.4. რა არის ნორმატიული აქტი?
- 8.5. რა არის სამართლის უმთავრესი წყარო?
- 8.6. ჩამოთვალეთ სამოქალაქო სამართლის ობიექტები.
- 8.7. რა არის ქონება? განმარტეთ.

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კერძო იერარქია აქტი კოდექსი საჯარო

- 9.1. სამართალი ორ ნაწილად იყოფა – კერძო და სამართლად.
- 9.2. სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.
- 9.3. კანონის ცნება ფართო გაგებით გამოიყენება და მასში იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ კანონი, არამედ ნებისმიერი სახელმწიფო
- 9.4. სამართლის წყაროთა დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა ლეგიტიმაციის დონეზე.
- 9.5. საქართველოს სამოქალაქო ობიექტებს განამტკიცებს სანივთო სამართალში.

10. წარმოდგენილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ჩვეულება სამართლის ნორმა ლეგიტიმაცია იურიდიული პირი უფლებები

- 10.1. _____
- 10.2. _____

10.3. _____

11. დაიყავით 3 ჯგუფად. დაინაწილეთ ტექსტის თითოეული ნაწილი, წაკითხეთ და გადმოეცით მოკლე შინაარსი.

საშინაო დავალება:

12. წაკითხეთ ტექსტის სამივე ნაწილი სახლში კიდევ ერთხელ და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 5 სანივთო სამართალი

1. რას ნიშნავს სიტყვა ნივთი? შეეცადეთ, განმარტოთ თქვენი სიტყვებით:

ნივთი

2. წავიკითხოთ სიტყვა ნივთის განმარტება ქველ-იდან:

„უსულო საგანი, ჩვეულებრივი, ადამიანის ხელით გაკეთებული“.

3. გაიაზრეთ, როგორ მივიღეთ მისგან ტერმინი „სანივთო“:

სა + ნივთ(ი)+ო

4. გაიხსენეთ, კიდევ რომელი იურიდიული ტერმინი იცით, რომელიც სა - ო თავსართ-ბოლოსართით იწარმოება.

5. დღევანდელი ტექსტისთვის აუცილებლად დაგვჭირდება ტერმინ „ქონების“ განმარტება:

ქონება

„ვინმეს საკუთრებაში არსებული ნივთებისა და სხვადასხვა ფასეულობათა ერთობლიობა. მაგ. უძრავ-მოძრავი ქონება“ (ქველ-ი).

6. გაიხსენოთ, როგორ იწარმოება ტერმინი „სამართლებრივი“:

სამართ(ა)ლ-ებრივი

ტერმინი „ქონება“ ასეთივე წარმოებისაა (*ქონებ-ებრივი --> ქონებრივი*) და ნიშნავს: ქონებრივი - ქონებასთან დაკავშირებული, ქონებით განსაზღვრული, ნივთიერი, მატერიალური; მაგ. ქონებრივი მდგომარეობა (ქველ-ი).

7. თქვენ უკვე იცით, რას ნიშნავს სიტყვა სიკეთე. განმარტეთ თქვენი სიტყვებით:

სიკეთე - 1. კეთილი თვისება; სხვისთვის კარგის ქმნა;
2. კეთილი, კარგი;

სამართალმცოდნეობაში ტერმინი სიკეთე ქონების სინონიმად იხმარება:

სიკეთე = დოვლათი, ქონება.

8. დავალება:

თქვენ უკვე იცით ყველა სიტყვის მნიშვნელობა. დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ

მიიღოთ იურიდიული განმარტება:

ნივთებს ქონებრივ აღიარებს ქართული არამატერიალურ და სამოქალაქო ქონებად კოდექსი სიკეთეებს

9. წაიკითხეთ ტექსტი:

სანივთო სამართალი

ქართული სამოქალაქო კოდექსი ქონებად აღიარებს ნივთებს და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს.

ნივთი ქონებად გადაიქცევა იმ უფლება-მოვალეობათა წყალობით, რომელიც ამ ნივთთანაა დაკავშირებული.

ნივთები ბრუნვაუნარიანი საგნებია – სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს უნდა შეეძლოთ მათი თავისუფალი შეძენა, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს.

ნივთები ამავე დროს არის პირთა ბატონობას დაქვემდებარებული საგნები. ე. ი. შესაძლებელი უნდა იყოს ნივთების და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. ამიტომ ნივთებად ვერ ჩაითვლება წყალი ზღვაში და მდინარეებში, მზე, ვარსკვლავები, მთვარე და ა. შ.

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

უძრავი ნივთების ხერხემალს მიწის ნაკვეთი შეადგენს. ყველა სხვა უძრავი ნივთი არსებითად მასთან დაკავშირებული ნივთია.

ნივთებთან ერთად სანივთო სამართალი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს. არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები ემორჩილებიან საკუთრების უფლების ცნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მათი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისევეა შესაძლებელი, როგორც ნივთებისა. მათ ტრადიციულად „უხსიულო ნივთებს“ უწოდებენ.

სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ისეთ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც აერთიანებს საავტორო და მის მომიჯნავე უფლებებს, ასევე გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სამრეწველო ნიმუშის ავტორობის უფლებას.

10. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა ახალი სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

11. უპასუხეთ კითხვებს:

- 11.1. რას აღიარებს ქონებად ქართული სამოქალაქო კოდექსი?
- 11.2. რა მიმართებაა ნივთსა და ქონებას შორის?
- 11.3. რას ნიშნავს სიტყვა „ბრუნვაუნარიანი“?
- 11.4. რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სამოქალაქო სამართლის სუბიექტს ნივთებთან?
- 11.5. რა ითვლება და რა ვერ ჩაითვლება ნივთებად?
- 11.6. რა მიეკუთვნება უძრავ ნივთებს და რა - მოძრავ ნივთებს?
- 11.7. რა არის უძრავი ნივთების თავისებურება?
- 11.8. როგორ განისაზღვრება უძრავი ნივთების სამართლებრივი მდგომარეობა?
- 11.9. რით განსხვავდება ამ მხრივ მოძრავი ნივთები უძრავი ნივთებისგან?
- 11.10. რატომ შეიძლება შეიცვალოს მოძრავი ნივთების სამართლებრივი რეჟიმი?
- 11.11. რა არის მთავარი უძრავი ნივთი?
- 11.12. რა პრინციპი მოქმედებს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით?
- 11.13. რა ადგილი უკავია სამოქალაქო სამართალში ინტელექტუალურ საკუთრებას?
- 11.14. რა არის საავტორო უფლება?
- 11.15. რა შედის საავტორო უფლებაში?

12. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

საკუთრება ქონებად სანივთო სიკეთის კოდექსი ქონებრივ

ქართული სამოქალაქო ქონებად აღიარებს ნივთებს და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს. ნივთი გადაიქცევა იმ უფლება-მოვალეობათა წყალობით, რომელიც ამ ნივთთანაა დაკავშირებული. შესაძლებელი უნდა იყოს ნივთების და არამატერიალური ქონებრივი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. ნივთებთან ერთად სამართალი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს არამატერიალურ სიკეთეებს. სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ისეთ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, როგორცაა ინტელექტუალური

13. წარმოდგენილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ა. დაქვემდებარებული არის ბატონობას ამავე დროს ნივთები პირთა საგნები.

ბ. უძრავ წიაღისეულით მიწის ნაკვეთი მიეკუთვნება მასში არსებული ნივთებს.

გ. დამახასიათებელ საკუთრების ნიშნებს ქონებრივი ცნებისათვის სიკეთეები ემორჩილებიან უფლების არამატერიალური.

საშინაო დავალება:

14. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 6 სისხლის სამართალი

1. გავისვენოთ, რას ნიშნავს სიტყვა „სისხლი“.
2. ამოიწერეთ „ქეგლ“-იდან სიტყვა „სისხლის“ განმარტება:

3. თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ტერმინი „სისხლის სამართალი“? იმსჯელეთ.

სისხლის სამართალი

4. წაიკითხეთ ტექსტი:

სისხლის სამართალი

სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი დარგია, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად. იგი თითოეული დანაშაულისათვის აწესებს შესაბამის სასჯელს. როგორც პრაქტიკაში, ასევე დოქტრინაში - განასხვავებენ მატერიალურ და პროცესუალურ სისხლის სამართალს.

ძველი ცივილიზაციები ერთმანეთისგან არ განასხვავებდა სისხლისა და სამოქალაქო სამართალს. სამართლის პირველი კოდექსები შუმერებმა შექმნეს. დღემდე არსებული აღმოჩენების თანახმად, პირველი დანერგილი კოდექსი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 2100-2050 წლებში) მიიღო ურის ნეო-შუმერმა მეფემ ურ-ნამუმ. სხვა უძველეს კოდექსთაგან მნიშვნელოვანია ასევე ჰამურაბის კოდექსი, რომელიც ბაბილონის სამართლის ბირთვს შეადგენდა.

ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, თანამედროვე სისხლის სამართალი ჩაისახა XVIII საუკუნეში, როდესაც ევროპულმა ქვეყნებმა მიიღეს შესაბამისი საერო კანონმდებლობა და მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად შექმნეს საპოლიციო სისტემები.

პირველი სისხლის სამართლის კოდექსი მიიღო საფრანგეთმა, რომელსაც „ნაპოლეონის კოდექსსაც“ უწოდებენ. აქვე აღსანიშნავია გერმანელთა წვლილი ამ საქმეში.

ცნობილი მეცნიერი და იურისტი ანსელმ ფოიერბახი მუშაობდა სისხლის სამართლის კოდექსზე, რომელიც „ბავარიის კოდექსის“ სახელითაა ცნობილი.

სისხლის სამართლის მიზნები განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის სახელმწიფოა ან/და რა ტიპის საზოგადოებაა მოცემულ სახელმწიფოში. თუმცა, თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოების სისხლის სამართალში შემდეგი ხუთი მიზანი დომინირებს: სამაგიეროს გადახდა, პრევენცია, ინდივიდუალური დამნაშავეს გაუვნებელყოფა, რეაბილიტაცია და რესტიტუცია.

- სამაგიეროს გადახდა — სისხლის სამართლის ყველაზე ძველი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. აღნიშნული დოქტრინის მიხედვით, რადგანაც დამნაშავემ დანაშაულის ჩადენით დაუშასხურებელი უპირატესობა მოიპოვა ან/და ზიანი მიაყენა სხვებს, მას ამისთვის სათანადოდ უნდა მიეზღოს.
- პრევენცია — მიმართულია დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ. თუ ადამიანები დაინახავენ, თუ როგორ დაისაჯა მეორე ადამიანი სისხლის სამართლის დარღვევისთვის (მაგალითად, მკვლელობისთვის), იგი შიშით აღარ ჩაიდენს დანაშაულს (ზოგადი პრევენცია) ან თავად დამნაშავე, რომელმაც თვითონ გამოსცადა სასჯელი, სხვა სასჯელის შიშით აღარ ჩაიდენს დანაშაულს (ინდივიდუალური პრევენცია).
- ინდივიდუალური დამნაშავეს გაუვნებელყოფა — თუ სასჯელის საშუალებით დამნაშავეს ძირითადი საზოგადოებისგან იზოლირება მოხდება, საზოგადოება დაცული იქნება მის მიერ დანაშაულის მომავალი ჩადენისგან.
- რეაბილიტაცია — მიზნად ისახავს დამნაშავეს გამოსწორებას და ძირითად საზოგადოებაში ჯანსაღ წევრად დაბრუნებას. აღნიშნული მიზანი მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ინდივიდუალურ პრევენციასთან, რადგან საზოგადოების გაჯანსაღებელი წევრისგან ნაკლებად მოსალოდნელია დანაშაულის ჩადება.
- რესტიტუცია — არის დანაშაულის მსხვერპლზე ორიენტირებული სასჯელის თეორია, რომლის მიხედვითაც დანაშაულის მსხვერპლს უნაზღაურდება მიყენებული ზიანი. თუმცა, აღნიშნული მიზნის რეალიზების მექანიზმებს ცალკეულ სახელმწიფოში ახდენს სამოქალაქო სამართალი.

სისხლის სამართალს აქვს ნორმატიული და ინსტიტუციური აღსრულების მექანიზმები. ნორმატიულ მექანიზმებს შეადგენს პროცესუალური სამართლის კანონმდებლობა, რომელიც მატერიალური სამართლის აღსრულებისთვის აუცილებელ პროცედურებს ადგენს. ხოლო ინსტიტუციებს შეადგენს: პოლიცია, პროკურატურა სასამართლო და პენიტენციური სისტემა.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა ახალი სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები

6. წარმოდგენილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- 7.1. სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი დარგია.
- 7.2. ძველი ცივილიზაციები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ სისხლისა და სამოქალაქო სამართალს.
- 7.3. ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, თანამედროვე სისხლის სამართალი ჩაისახა X საუკუნეში.
- 7.4. სისხლის სამართალს გააჩნია ნორმატიული და ინსტიტუციური აღსრულების მექანიზმები.
- 7.5. ინსტიტუციური აღსრულების მექანიზმებია: პოლიცია, პროკურატურა სასამართლო და პენიტენციური სისტემა.

8. უპასუხეთ კითხვებს:

- 8.1. რას შეისწავლის სისხლის სამართალი?
- 8.2. ვინ შექმნა სისხლის სამართლის პირველი კოდექსები?
- 8.3. როდის ჩაისახა თანამედროვე სისხლის სამართალი?
- 8.4. რას უწოდებენ ნაპოლეონის კოდექსს?
- 8.5. ჩამოთვალეთ სისხლის სამართლის მიზნები და განმარტეთ თითოეული მათგანი.
- 8.6. ჩამოთვალეთ სისხლის სამართლის ინსტიტუციური აღსრულების მექანიზმები.

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კოდექსები აღსრულების რეაბილიტაცია დანაშაულად სამოქალაქო სამართალი

სისხლის სამართლის ერთ-ერთი დარგია, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ითვლება იგი თითოეული დანაშაულისათვის აწესებს შესაბამის სასჯელს.

ქველი ცივილიზაციები ერთმანეთისგან არ განასხვავებდა სისხლისა და სამართალს. სამართლის პირველი შუმერებმა შექმნეს.

ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, თანამედროვე სისხლის სამართალი ჩაისახა XVIII საუკუნეში, როდესაც ევროპულმა ქვეყნებმა მიიღეს შესაბამისი საერო კანონმდებლობა და მისი უზრუნველსაყოფად შექმნეს საპოლიციო სისტემები.

თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოების სისხლის სამართალში შემდეგი ხუთი მიზანი დომინირებს: სამაგიეროს გადახდა, პრევენცია, ინდივიდუალური დამნაშავის გაუვნებელყოფა, და რესტიტუცია.

10. ტექსტის მიხედვით განმარტეთ:

- სამაგიეროს გადახდა
- პრევენცია
- ინდივიდუალური დამნაშავის გაუვნებელყოფა
- რეაბილიტაცია
- რესტიტუცია

11. მასწავლებლის დახმარებით დაყავით ტექსტი მონაკვეთებად და დაასათაურეთ.

- ა. _____
- ბ. _____
- გ. _____
- დ. _____
- ე. _____
- ვ. _____
- ზ. _____

12. ახლა მასწავლებლის დახმარებით ააგეთ გეგმა:

13. თქვენ მიერ შედგენილი გეგმის გამოყენებით გადმოეცით ტექსტი თხრობით.

საშინაო დავალება:

14. წაკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 7

სამართლებრივი აქტები

1. ჩვენ უკვე ვისწავლეთ „მართ“ სიტყვისგან ნაწარმოები რამდენიმე ტერმინი:

- სამართალი
- სამართლიანი
- სამართლიანობა

2. როგორ იწარმოება სიტყვა სამართლებრივი?

სამართლებრივი - ?

3. ამოიწერეთ ქველ-იდან სიტყვა სამართლებრივის განმარტება:

4. წაიკითხეთ ტექსტი:

სამართლებრივი აქტები

სამართლებრივი აქტი - ეს ისეთი წერილობითი დოკუმენტია, რომელსაც დადგენილი წესის მიხედვით მიიღებს ან გამოსცემს ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო და რომელთა შესრულებაც სავალდებულოა.

სამართლებრივი აქტი ორი სახის გვხვდება: ნორმატიული და ინდივიდუალური.

ნორმატიული აქტი ისეთი სახის სამართლებრივი აქტია, რომელიც შეიცავს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ინდივიდუალური აქტი კი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს, რომლის საფუძველზეც და რომლის ფარგლებშიც გამოიყენება.

ნორმატიული აქტები თავისი მოქმედების ფარგლების მიხედვით იყოფა რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სამართლებრივ აქტებად. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში მათი მოქმედების ფარგლებია: საქართველო, ავტონომიური რესპუბლიკები და სამხარეო რაიონული ერთეულები.

ნორმატიული სამართლებრივი აქტები იურიდიული ძალის მიხედვით იყოფა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად.

საკანონმდებლო აქტებს მიეკუთვნება, ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით იქმნებიან ან იწყებენ მოქმედებას. ესენია:

საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.

ნორმატიული აქტების მეორე სახეობას წარმოადგენს კანონქვემდებარე აქტები, რომელთა მიღებაც ხდება საკანონმდებლო აქტების შესაბამისად და მათ შესასრულებლად. ესენია: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, მთავრობის დადგენილება, პარლამენტის დადგენილება, აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელთა ბრძანება და სხვა.

საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილია იერარქია, რომელიც მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“ (მიღებულია 1996 წლის 29 ოქტომბერს). ამ იერარქის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუცია პირველია, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი. ეს კი ნიშნავს, რომ მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ და ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მას.

იერარქიის მეორე ადგილზე მოთავსებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, რაც განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის მე-2 პუნქტით, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს“.

ამ ნორმის საფუძველზე უპირატესობა აქვს მინიჭებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას შიდა კანონმდებლობის მიმართ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

ნორმატიული აქტების მიმართ არსებობს ერთი საერთო მოთხოვნა: ისინი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან და საბოლოოა. ამასთან, ამ შედეგებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, ერთ თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები.

საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მიღების დადგენილი წესი განსაზღვრულია კონსტიტუციით. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების შემდეგ, მისი გამოცემიდან 48 სთ-ის განმავლობაში წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და გამოიცემა საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. ამ სამართლებრივი აქტით პრეზიდენტს უფლება აქვს, შეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა უცნობი სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

6.1. ნორმატიული სამართლებრივი აქტები იურიდიული ძალის მიხედვით იყოფა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად.

6.2. საკანონმდებლო აქტებს მიეკუთვნება კანონქვემდებარე აქტები, რომელთა მიღებაც ხდება საკანონმდებლო აქტების შესაბამისად და მათ შესასრულებლად.

6.3. საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილია იერარქია, რომელიც მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“.

6.4. იერარქიის პირველ ადგილზე მოთავსებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, რაც განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის მე-2 პუნქტით.

6.5. საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მიღების დადგენილი წესი განსაზღვრულია კონსტიტუციით.

7. უპასუხეთ კითხვებს:

7.1. რა არის სამართლებრივი აქტი?

7.2. რა არის ნორმატიული აქტი?

7.3. რა არის ინდივიდუალური აქტი?

7.4. მოქმედების ფარგლების მიხედვით როგორ იყოფა ნორმატიული აქტები?

7.5. იურიდიული ძალის მიხედვით როგორ იყოფა ნორმატიული აქტები?

7.6. რა მიეკუთვნება საკანონმდებლო აქტებს?

7.7. რა არის კანონქვემდებარე აქტები?

8. შეაერთეთ ერთმანეთთან:

აქტის ტიპი	მოქმედების ფარგლები
რესპუბლიკური სამართლებრივი აქტები	სამხარეო რაიონული
რეგიონალური სამართლებრივი აქტები	საქართველო
ადგილობრივი სამართლებრივი აქტები	ავტონომიური

9. გაიყავით ორ ჯგუფად. ერთმა დასვას კითხვები ტექსტიდან; მეორემ – უპასუხოს.

10. წარმოდგენილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

10.1.

სამართლის ხელისუფლების საზოგადოებრივი კონსტიტუციური ნორმების

10.2.

10.3.

კანონმდებლობა ნორმებს შეესაბამება საერთაშორისო საყოველთაოდ აღიარებულ საქართველოს სამართლის პრინციპებს და

11. მასწავლებლის დახმარებით დაყავით ტექსტი მონაკვეთებად და დაასათაურეთ.

- ა. _____
- ბ. _____
- გ. _____
- დ. _____
- ე. _____
- ვ. _____
- ზ. _____

12. ახლა მასწავლებლის დახმარებით ააგეთ გეგმა:

13. თქვენ მიერ შედგენილი გეგმის გამოყენებით გადმოეცით ტექსტი თხრობით.

საშინაო დავალება:

14. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 8

სასამართლო ხელისუფლება

1. რას ნიშნავს სიტყვა ხელისუფლება? დაიყავით ჯგუფებად და იმსჯელოთ.

2. ახლა წაიკითხეთ ქველ-იდან სიტყვა „ხელისუფლების“ განსაზღვრება და ამოიწერეთ:

3. გაიხსენეთ, რა არის კომპოზიტი. რა ნაწილებისგან შედგება სიტყვები: „თავისუფალი“, „ხელისუფალი“?

4. ხელი - ადამიანის ის ორგანოა, რომლითაც საქმიანობს, აქტიურად მოქმედებს... სიტყვა უფალი - ფლობას, კუთვნილებას უკავშირდება (აქედანვე მოდის მისი მნიშვნელობა - „ღმერთი“ - სამყაროს, ქვეყნიერების მფლობელი... რთული სიტყვა (კომპოზიტი) „ხელისუფალი“ - სხვების წინამძღოლს, უფროსს, მეთაურს აღნიშნავს.

5. წაიკითხეთ ტექსტი:

სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების შტოა, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლის და მართლმსაჯულების ფუნქციას.

სასამართლოები გამოსცემენ სასამართლო აქტებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში ემყარება კონსტიტუციურ პრინციპებს. ესენია;

1. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ;
2. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონისადმი;
3. საქმის ღია სასამართლო განხილვა;
4. სამართალწარმოების სახელმწიფო ენა;
5. უდანაშაულობის პრეზუმეცია;
6. დაცვის უფლება;

7. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის;
8. სამართალწარმოების განხორციელება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბველობის საფუძველზე.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. მოსამართლის გამწესება თანამდებობაზე ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მისთვის აკრძალულია პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა, ასევე შეუთავსებელია მისთვის სხვა თანამდებობა და ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა.

მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში ზედამხედველობს საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომლის თავმჯდომარეს და მოსამართლეებს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლით. სხვა მოსამართლეებს იუსტიციის საბჭოს შერჩევით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

6. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა გამუქებული სიტყვა და ფრაზა. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

7. უპასუხეთ კითხვებს:

- 7.1. რას ახორციელებს სასამართლო ხელისუფლება?
- 7.2. სასამართლო ხელისუფლება დამოკიდებულია რაიმე ორგანოზე თუ დამოუკიდებელია?
- 7.3. რას გადმოსცემენ სასამართლოები და რა მნიშვნელობა აქვს მათ?
- 7.4. რას ემყარება საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელება?
- 7.5. რა პრინციპებია ის, რასაც ემყარება მართლმსაჯულების განხორციელება?
- 7.6. ვინ შეიძლება იყოს მოსამართლე?
- 7.7. რა გამოცდილება უნდა ჰქონდეს მოსამართლეს?
- 7.8. რა ვადით ინიშნება მოსამართლე?
- 7.9. რა საქმიანობა ეკრძალება და რა შეიძლება ჰქონდეს მოსამართლეს?
- 7.10. ვინ ნიშნავს და ირჩევს მოსამართლეებს?

8. დაუკვირდით ენობრივ ფორმებს და ააგეთ მათი გამოყენებით წინადადებები, შემდეგ კი – მსჯელობა.

დამოუკიდებლად ახორციელებს-ის ფუნქციას.
გამოსცემს აქტებს.
სავალდებულოა მთელ ტერიტორიაზე.
სასამართლოს მიერ.
კონსტიტუციის თანახმად.
სულ ცოტა...
არანაკლებ ათი წლით // ათი წლის ვადით.
გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა...
საბჭოს შერჩევით.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

- 9.1. სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების შტოა.

- 9.2. სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლის და მართლმსაჯულების ფუნქციას. _____
- 9.3. სასამართლოები გამოსცემენ სასამართლო აქტებს, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

- 9.4. მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში ემყარება არაკონსტიტუციურ პრინციპებს. _____
- 9.5. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 50 წლის ასაკიდან. _____
- 9.6. მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში ზედამხედველობს საქართველოს უზენაესი სასამართლო. _____

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მონაწილეობა შტოა პრეზიდენტი სასამართლო მოღვაწეობისა ვადით

სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების შტოა. მოსამართლის გამწესება თანამდებობაზე ხდება არანაკლებ 10 წლის მისთვის აკრძალულია

პოლიტიკურ საქმიანობაში ასევე შეუთავსებელია მისთვის სხვა თანამდებობა და ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა პედაგოგიური

მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში ზედამხედველობს საქართველოს უზენაესი

სხვა მოსამართლეებს იუსტიციის საბჭოს შერჩევით ნიშნავს საქართველოს

11. იმსჯელეთ თქვენი რეგიონის სასამართლოს შესახებ. რა პრინციპი უდევს საფუძვლად მის მუშაობას?

12. მასწავლებლის დახმარებით დაყავით ტექსტი მონაკვეთებად და დაასათაურეთ.

- ა. _____
- ბ. _____
- გ. _____
- დ. _____
- ე. _____
- ვ. _____

13. ახლა მასწავლებლის დახმარებით დამოუკიდებლად ააგეთ გეგმა:

14. თქვენ მიერ შედგენილი გეგმის გამოყენებით გადმოეცით ტექსტი თხრობით.

საშინაო დავალება:

15. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 9

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

1. გაიხსენეთ, რას ნიშნავს სიტყვა „ფიცი“.
2. სიტყვა „ნაფიცი“ ნა- პრეფიქსითაა ნაწარმოები. გაიხსენეთ და ჩამოწერეთ ნა- თავსართით ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც გაგახსენდებათ:

3. წაიკითხეთ ტერმინ „ნაფიცი მსაჯულების“ განმარტება:

ნაფიც-ი - 1. ვინც დაიფიცა ან დააფიცეს, _ დაფიცებული. «ამ საქმეში ხატზე ნაფიცი ვარ» (ე. ნინოშ.). 2. იგივეა, რაც ნ ა ფ ი ც ი მ ს ა ჯ უ ლ ი. ნაფიცი მსაჯულები - ცენზიანი მოსახლეობისაგან არჩეული პირები, რომელნიც მონაწილეობენ სასამართლოს სხდომებში და გამოაქვთ გადაწყვეტილება ბრალდებულის გამართლების ან გამტყუნების შესახებ.

4. ჩამოაყალიბეთ ნაფიცი მსაჯულის განმარტება თქვენი სიტყვებით.

5. წაიკითხეთ ტექსტი:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია, რომლის არსებობას როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, ისე საქართველოში ჰყავს როგორც მონინალმდეგეები, ისე მომხრეები. ზოგს ამ ინსტიტუტის არსებობა დადებითად მიაჩნია, ზოგი მას გაუნათლებელ ბრბოს უწოდებს. თითოეულს თავისი შეხედულების დასასაბუთებლად საკუთარი არგუმენტები აქვს: კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ამ შემთხვევაში არის ხალხი და, ამდენად, ზემოებს დემოკრატია. მათი აზრით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობისას აშკარად იგრძნობა ხალხის ძალაუფლება, ხელისუფლების წყარო კი არის ხალხი. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონინალმდეგეებს, ისინი ამ ინსტიტუტს „ქუჩის სასამართლოს“, „მასების სასამართლოს“ უწოდებენ.

კანონის მიხედვით, საქართველოში, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებისთვის. ჩვენს ქვეყანაში, მანამდე არსებული სისტემისგან განსხვავებით, მკვლელობაში ბრალდებული პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა, პროფესიონალი მოსამართლის ნაცვლად, ახლა უკვე დგინდება ნაფიცი მსაჯულების მიერ, რომლებიც საზოგადოების რიგითი წევრები არიან. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო თანახმაა, საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობა (რაც სამართლის პროფესორის, ჯეფრი აბრამსონის აზრით, დემოკრატიის როგორც საუკეთესო, ისე ყველაზე უარესი მონაპოვარია) საქართველოში შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ, „Frontnews“-ს განუცხადა: რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს დისკუსია საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში; რომ ვენეციის კომისიასთანაც იქნება კონსულტაციები და ჩატარდება ექსპერტიზა იმის დასადგენად, თუ რამდენად გაამართლა ამ სისტემამ.

6. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

7. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

7.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. _____

7.2. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ამ შემთხვევაში არის ხალხი. _____

7.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწინააღმდეგეები ამ ინსტიტუტს „ქუჩის სასამართლოს“, „მასების სასამართლოს“ უწოდებენ. _____

7.4. კანონის მიხედვით, საქართველოში, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებისთვის.

7.5. თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს, საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს. _____

8. უპასუხეთ კითხვებს:

- 8.1. რა არგუმენტები აქვთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეებს?
- 8.2. რა არგუმენტები აქვთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწინააღმდეგეებს?
- 8.3. რა კატეგორიის საქმეებს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?
- 8.4. ამ ტიპის სასამართლოში ვის მიერ დგინდება ბრალდებული პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა?
- 8.5. რა შეფასებას აძლევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროფესორი ჯეფრი აბრამსონი?

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მსაჯულთა წყარო დემოკრატია ძალაუფლება მართლმსაჯულების ნაფიც

ნაფიც სასამართლოს არსებობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრეები მიიჩნევენ, რომ განმახორციელებელი ამ შემთხვევაში არის ხალხი და, ამდენად, ზეიმობს მათი აზრით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობისას აშკარად იგრძნობა ხალხის, ხელისუფლების კი არის ხალხი.

10. დაალაგეთ არეული წინადადებები სწორად, რათა მიიღოთ დასრულებული აზრი:

როდესაც, მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე,
საქმე განიხილონ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.
თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას
ითვალისწინებს,
გარდა იმ შემთხვევებისა,
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად,
საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს,
სასამართლო თანახმაა,

11. შეადარეთ ეს 2 წინადადება:

I. მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო თანახმად, საქმე განიხილონ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

II. მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო თანახმად, საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

დაუკვირდით კონსტრუქციებს: „საქმე განიხილონ“ და „საქმე განხილულ იქნეს“... იურიდიულ ლიტერატურაში აღწერილი წარმოება ძალიან ხშირად გვხვდება, რაც მისასაღმებელი ნამდვილად არ არის (ქართულისთვის ეს კონსტრუქციები არაბუნებრივია); შეძლებისდაგვარად, ვეცადოთ, ვიმეტყველოთ და ვწეროთ ქართული სინტაქსის კანონებზე დაყრდნობით.

12. ყურადღებით გადაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ, ემხრობით თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოში დამკვიდრებას; დაასაბუთეთ პასუხი (მოიყვანეთ არგუმენტები):

13. მასწავლებლის დახმარებით შეადგინეთ გეგმა.

- ა. _____
- ბ. _____
- გ. _____
- დ. _____
- ე. _____
- ვ. _____
- ზ. _____

საშინაო დავალება:

14. წაკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით, დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 10

სიკოცხლის უფლება

1. რას ნიშნავს სიტყვა „სიკოცხლე“? იმსჯელოთ.
2. ამოიწერეთ ქველ-იდან სიტყვა „სიკოცხლის“ განმარტება და იმსჯელოთ, რას უნდა ნიშნავდეს ტერმინი „სიკოცხლის უფლება“?
3. წაიკითხეთ ტექსტი:

სიკოცხლის უფლება

სიკვდილით დასჯა თუ უვადო თავისუფლების აღკვეთა? სასჯელის ამ ორი განსაკუთრებული ზომის გამოყენებას როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს. ორივე მხარე კამათობს სასჯელის ამ ყველაზე მკაცრი ღონისძიებების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების თაობაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორი თანაბრად არასასურველი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია. ასეთ რთულ არჩევანს უწოდებენ **დილემას**.

დღესდღეობით მსოფლიოს ასამდე სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც, ადამიანის სიკვდილით დასჯა კანონმდებლობით გაუქმებულია. ცნობილია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სიკვდილით დასჯა სრულად გაუქმდა სამჯერ: პირველად – მე-12 საუკუნეში თამარ მეფის დროს; მეორედ – 1921 წელს და ბოლოს – 1997 წელს. მიუხედავად ამისა, ჩვენს ეპოქაში მკვლელობა იმდენად ხშირად და ისეთი საშინელი ფორმით ხორციელდება, რომ ადამიანებს დღესაც უჩნდებათ სურვილი, დამნაშავის სიკვდილით დასჯით აღადგინონ სამართლიანობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის უკიდურესი ზომის, აკრძალვის საკითხი ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივი განხილვის საკითხად აქცია. დიდი მწერალი ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო. მან საგანგებოდ შეარჩია და თარგმნა იმ დროის ევროპულ ლიტერატურაში ადამიანის სიკვდილით დასჯის თემაზე შექმნილი ვიქტორ ჰიუგოსა და მარიანო ხოსე დე ლარას ნაწარმოებები. 1879 წელს კი დაწერა მოთხრობა „სარჩობელაზე“.

1907 წელს ი. ჭავჭავაძე აირჩიეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრად, რომლის ერთ-ერთ სხდომაზე იგი სიტყვით გამოვიდა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და დაასაბუთა მისი გაუქმების აუცილებლობა. იმდროინდელ რუსეთში ეს მების გავარდნას ჰგავდა, რადგან რეპრესიები მძვინვარებდა – ყველა კუთხეში სახრჩობელა

იდგა. ილიას ფრაზა – „ჩვენ არ მიგვიცია ადამიანებისთვის სიცოცხლე და არც უფლება გვაქვს წავეართვათ იგი მათ“ – მთელ ევროპაში მოარული გახდა.

მსოფლიო მწერალი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო, 1907 წელს თავად გამოასალმეს სიცოცხლეს. ოღონდ გურამიშვილს, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა მეუღლის გადასარჩენად, ისე სასტიკად გაუსწორდნენ, რომ დაკრძალვას ვეღარ დაესწრო. მკვლელები დაიჭირეს და ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ილიას ქვრივმა თხოვნით მიმართა თბილისის გენერალ-გუბერნატორს, დამნაშავეები სიკვდილით არ დაესაჯათ: „მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა მათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი, და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა...“.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

5. ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

6.1. დღესდღეობით მსოფლიოს ასამდე სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც, ადამიანის სიკვდილით დასჯა კანონმდებლობით გაუქმებულია.

6.2. საქართველოს ისტორიაში სიკვდილით დასჯა არასოდეს გაუქმებულა.

6.3. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში სიკვდილით დასჯის აკრძალვის საკითხი ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივი განხილვის საკითხად აქცია.

6.4. 1907 წელს ი. ჭავჭავაძე აირჩიეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრად.

6.5. ილიას ქვრივმა თხოვნით მიმართა თბილისის გენერალ-გუბერნატორს, დამნაშავეები სიკვდილით დაესაჯათ.

7. უპასუხეთ კითხვებს:

- 7.1. რა არის დილემა?
- 7.2. რამდენ ქვეყანაშია გაუქმებული სიკვდილით დასჯა?
- 7.3. სიკვდილით დასჯა სასჯელის სამართლიანი ფორმაა თუ უსამართლო?
- 7.4. რატომ თარგმნა ილია ჭავჭავაძემ ვიქტორ ჰიუგოსა და მარიანო ხოსე დე ლარას ნაწარმოებები და რატომ დაწერა „სარჩობელაზე“?
- 7.5. რატომ მიჰყავდა ყოველ წელს ნიკო კეცხოველს სტუდენტები წინამურში?

8. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მომხრეები კანონმდებლობით გაუქმდა ნაკლოვანებების სასჯელის უვადო
სიკვდილით დასჯა თუ თავისუფლების აღკვეთა? ამ ორი განსაკუთრებული ზომის გამოყენებას როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში თავისი და მონინალმდეგეები ჰყავს. ორივე მხარე კამათობს სასჯელის ამ ყველაზე მკაცრი ღონისძიებების უპირატესობებისა და თაობაზე.
ადამიანის სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. ცნობილია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სიკვდილით დასჯა სრულად სამჯერ.

9. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მიუსაჯეს სიცოცხლეს დაესაჯათ აუცილებლობა

ი. ჭავჭავაძე სიტყვით გამოვიდა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და დაასაბუთა მისი გაუქმების 1907 წელს თავად გამოასაღმეს მკვლელები დაიჭირეს და ჩამოხრჩობა ილიას ქვრივმა თხოვნით მიმართა თბილისის გენერალ-გუბერნატორს, დამნაშავეები სიკვდილით არ

10. ყურადღებით გადაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ, ემხრობით თუ არა სიკვდილის დასჯის გაუქმებას საქართველოში; დაასაბუთეთ პასუხი (მოიყვანეთ არგუმენტები):

11. მასწავლებლის დახმარებით, დაყავით ტექსტი მონაკვეთებად და დაასათაურეთ.

- ა. _____
- ბ. _____
- გ. _____
- დ. _____
- ე. _____
- ვ. _____
- ზ. _____

12. ახლა, მასწავლებლის დახმარებით, დამოუკიდებლად ააგეთ გეგმა:

13. თქვენ მიერ შედგენილი გეგმის გამოყენებით, გადმოეცით ტექსტი თხრობით.

საშინაო დავალება:

14. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი (50 სიტყვამდე).

თემა 11

საკუთრება

1. შეადარეთ ერთმანეთს სიტყვები:

საკუთრება - მესაკუთრე

2. რა აქვთ საერთო ამ სიტყვებს? განმარტეთ.

3. დაუკვირდით, როგორ უცვლის სიტყვას მნიშვნელობას არა ნაწილაკი:

მესაკუთრე - არამესაკუთრე

მატერიალური - არამატერიალური

4. აწარმოეთ არა- ნაწილაკით სიტყვა და განმარტეთ თქვენი სიტყვებით:

კეთილსინდისიერი (პატიოსანი, სინდის მქონე) მართლზომიერი (კანონიერი)	არა-
---	------------------------

5. საკუთარი - 1. რაც ვინმეს ეკუთვნის; 2. რაც პიროვნებას განეკუთვნება.

საკუთრ-ება - ვინმეს ან რაიმეს საკუთარი ქონება.

მე-საკუთრ-ე - საკუთრების მფლობელი (კერძო მესაკუთრე).

6. დაუკვირდით ტერმინთა წარმოებას:

I.

მემკვიდრე = პირი, რომლის საკუთრებადაც გადადის გარდაცვლილის ქონება;



მემკვიდრეობა = ქონება, რომელიც მისი პატრონის სიკვდილის შემდეგ გადადის ახალი პირის საკუთრებად;



მემკვიდრეობითი = მემკვიდრეობით მიღებული;



მემკვიდრეობითობა = მემკვიდრეობითის თვისება;



სამკვიდრო = მემკვიდრეობით მიღებული მამაპაპეული ქონება.

7.

ხანდაზმული - ხანგრძლივი;



ხანდაზმულობა - ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც კარგავენ ან იძენენ რაიმე უფლებას.

8. წაიკითხეთ ტექსტი:

საკუთრება

საკუთრების უფლებას სამოქალაქო სამართალი განიხილავს, როგორც ნივთის მფლობელობას, სარგებლობასა და განკარგვის უფლებათა ერთიანობას.

მესაკუთრეს ეკრძალება საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სამოქალაქო კოდექსი აღიარებს სარგებლობის თავისუფლებას ანუ მესაკუთრე თვითონ წყვეტს, ისარგებლოს თუ არ ისარგებლოს საკუთრების ობიექტით. ამასთან, კანონი აწესებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც შეიძლება დაწესდეს ნივთით სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება. მაგ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონით დადგენილია, რომ მიწის მესაკუთრის მიმართ, რომელიც ზედიზედ 2 წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას, არ იხდის მიწათსარგებლობისათვის დადგენილ გადასახადს და ასეთ შემთხვევაში იჯარითაც არ გასცემს მიწას სხვა პირზე, გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთაც ითვალისწინებს საგადასახადო კანონმდებლობა.

სამოქალაქო კოდექსით, საკუთრების უფლება ნივთზე ნიშნავს საკუთრების უფლებას ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზეც. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ვინც ნივთზე საკუთრებას იძენს, ავტომატურადვე იძენს საკუთრებას მის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც.

არსებობს ინდივიდუალური და საერთო საკუთრება. საერთო საკუთრება ნიშნავს, რომ ქონება ერთობლივად შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს. ამასთან, თითოეული მათგანი იქნება ამ ქონების თანამესაკუთრე. საერთო საკუთრება შეიძლება წარმოიშვას როგორც კანონის, ისე გარიგების საფუძველზე. საერთო საკუთრება შეიძლება არსებობდეს ორი ძირითადი სახით - წილადი და საზიარო საკუთრება.

წილადი საკუთრების მიხედვით, თითოეულთან მესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი საერთო საკუთრებაში, რომლის განკარგვის უფლება მას აქვს. ხოლო თანაზიარო საკუთრების დროს თითოეული მესაკუთრის უფლება ვრცელდება მთელ ქონებაზე და მათი წილი განისაზღვრება მხოლოდ ქონების გაყოფის დროს, მანამდე ივარაუდება, რომ ყველას წილი თანაბარია.

9. ამოიწერეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

10. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

10.1.

- ა. საკუთრების უფლებას სისხლის სამართალი განიხილავს.
- ბ. საკუთრების უფლებას სამოქალაქო სამართალი განიხილავს.
- გ. საკუთრების უფლებას კონსტიტუციური სამართალი განიხილავს.

10.2.

- ა. მესაკუთრეს ეკრძალება საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება.
- ბ. მესაკუთრეს ევალება საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება.
- გ. მესაკუთრეს ნება ეძლევა, საკუთრება ბოროტად გამოიყენოს.

10.3.

- ა. ინდივიდუალური საკუთრება ნიშნავს, რომ ქონება ერთობლივად შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს.
- ბ. საერთო საკუთრება ნიშნავს, რომ ქონება შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთ პირს.
- გ. საერთო საკუთრება ნიშნავს, რომ ქონება ერთობლივად შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს.

11. უპასუხეთ კითხვებს:

- 11.1. რა მოთხოვნა აქვს სამოქალაქო სამართალს ქონებრივი სამართლის მიმართ?
- 11.2. რა მაგალითებია მოყვანილი ტექსტში მფლობელობის ასახსნელად? თქვენ რა მაგალითების მოყვანა შეგიძლიათ კიდევ?
- 11.3. როგორ განმარტავთ მესაკუთრეს და არამესაკუთრეს?
- 11.4. ვინ არ მიიჩნევა მფლობელად?
- 11.5. რა არის „პირდაპირი მფლობელობა“ და „არაპირდაპირი მფლობელობა“? მოიყვანეთ მაგალითი ტექსტიდან და თქვენი პრაქტიკიდან.
- 11.6. რას ნიშნავს „საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით“?


12. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ინდივიდუალური განსაზღვრული უფლება განკარგვის საკუთრების სამართალი საკუთრების უფლებას სამოქალაქო განიხილავს, როგორც ნივთის მფლობელობას, სარგებლობასა და უფლებათა ერთიანობას. მესაკუთრეს ეკრძალება უფლების ბოროტად გამოყენება. სამოქალაქო უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. არსებობს და საერთო საკუთრება. წილადი საკუთრების მიხედვით თითოეულთან მესაკუთრეს ეკუთვნის წილი საერთო საკუთრებაში.


13. სიტყვა „ხელისუფლება ისევე ინარჩუნება, როგორც სიტყვა „თავისუფლება“. დაიყავით ჯგუფებად, და იმსჯელეთ, რა აქვს ამ 2 სიტყვას საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

დაუკვირდით სქემებს და იმსჯელეთ:


14.




15.



16.



17.



18. დაწერეთ მოცემული ტექსტის გეგმა:


საშინაო დაფალება:

19. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და წერილობით გადმოეცით მისი მოკლე შინაარსი.

თემა 12

საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

1. გაუანალიზოთ შემდეგი სქემა:



2. დაიმსხვრეთ:

უპირატესი უფლება - სხვაზე მეტი უფლება.

3. დაალაგეთ ფრაზები ისე, რომ მიიღოთ განმარტება:

გირავნობა

- არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემა
- სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დამგირავებლის ქონების ხარჯზე
- რომ მოგირავენე (კრედიტორი იძენს სხვა პირთათვის)
- ეს არის მოძრავი ნივთის და მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების სახით ისე,

4. დაუკვირდით სიტყვებს:

- გადაცემადი
- განსხვისებადი
- დაგირავებადი

* ამ სიტყვების დაბოლოებაა -ად-ი, რაც ტერმინად აქცევს მათ და აძლევს ახალ მნიშვნელობას.

გადაცემადი - ის, რის გადაცემაც შეიძლება სხვისათვის;
განსხვისებადი - ის, რის განსხვისებაც (სხვისათვის მიცემა, სხვისთვის გადაცემა) შეიძლება;
დაგირავებადი - ის, რის დაგირავებაც შეიძლება.

5. დაალაგეთ სიტყვები და მიიღეთ განმარტება:

იპოთეკა

სამართალში ეწოდება სამოქალაქო დაგირავებას იპოთეკა ნივთების უძრავ

6. წაიკითხეთ ტექსტი:

საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

უძრავი და მოძრავი ნივთები, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ანუ ქონება, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებული იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. ასეთ უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა.

გირავნობა - ეს არის მოძრავი ნივთის და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემა სხვა პირთათვის, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების სახით ისე, რომ მოგირავნე (კრედიტორი) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დამგირავებელი ქონების ხარჯზე.

დაგირავების საგნად შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ის ნივთები, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია. ე. ი. რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად.

რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, ეს ის მოთხოვნები და უფლებებია, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. ამიტომ დაგირავება მხოლოდ ქონებრივი ხასიათის, გადაცემადი და განსხვისებადი მოთხოვნა ან უფლებაა.

გირავნობის ურთიერთობის მონაწილენი არიან დამგირავებელი და მოგირავნე.

დამგირავებელი არის პირი, რომელიც ქონებას იყენებს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად.

მოგირავნე არის პირი, კრედიტორი, რომელიც თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფად იყენებს დამგირავებელის ნივთს. არსებობს გირავნობის ორი ძირითადი სახე: სახელშეკრულებო გირავნობა და კანონისმიერი გირავნობა.

კანონისმიერი გირავნობის შემთხვევებს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს.

უძრავი ნივთების დაგირავებას სამოქალაქო სამართალში იპოთეკა ეწოდება.

7. ამოიწერეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

8. დაიმახსოვრეთ ენობრივი კონსტრუქციები; ააგეთ წინადადებები ამ ფრაზების გამოყენებით:

- საშუალებებს მიეკუთვნება;
- სხვა კრედიტორთან შედარებით;
- იქნეს სხვა პირთან შედარებით უპირატეს უფლებას;
- შეუზღუდავად შეძენა;
- რაც შეეხება...ქონებას...
- აიღო სესხი;
- დადო ხელშეკრულება ჰონორარის მიღების თაობაზე;
- უთითებს გირავნობის შესახებ;
- მიწის ნაკვეთი დაიტვირთა იპოთეკით;
- რეგისტრაციის შედეგად...

9. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

9.1. უძრავი და მოძრავი ნივთები შეიძლება გამოყენებული იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.

9.2. გირავნობა - ეს არის უძრავი ნივთის გადაცემა სხვა პირთათვის, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების სახით.

9.3. დაგირავების საგნად შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ის ნივთები, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დაუშვებელია.

9.4. რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, ეს ის მოთხოვნები და უფლებებია, რომლებიც არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

9.5. დამგირავებული არის პირი, რომელიც ქონებას იყენებს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად.

9.6. უძრავი ნივთების დაგირავებას სამოქალაქო სამართალში იპოთეკა ეწოდება.

10. უპასუხეთ კითხვებს:

- 10.1. რა შეიძლება იქნეს გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად?
- 10.2. რა მიეკუთვნება ასეთ საშუალებებს?
- 10.3. რა არის გირავნობა?
- 10.4. რა შეიძლება იქნეს გამოყენებული დაგირავების საგნად?
- 10.5. შეიძლება თუ არა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დაგირავება და რატომ?
- 10.6. რა ითვლება გირაოდ და რა არა?
- 10.7. ვინ არის გირავნობის ურთიერთობის მონაწილე?
- 10.8. როგორ განმარტავთ დამგირავებელს? მოგირავნეს?
- 10.9. რა არის სახელშეკრულებო გირავნობა?
- 10.10. რას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი გირავნობის შესახებ?
- 10.11. რა ეწოდება უძრავი ქონების დაგირავებას?
- 10.12. როგორ ხასიათდება იპოთეკა?

11. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მოთხოვნის გირავნობა მოძრავი უზრუნველყოფის არამატერიალური

უძრავი და მოძრავი ნივთები, ასევექონებრივი სიკეთე ანუ ქონება, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის საშუალებად. ასეთ უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება და იპოთეკა.

გირავნობა ეს არის ნივთის და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემა სხვა პირთათვის, მოთხოვნის საშუალების სახით ისე, რომ (კრედიტორი) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დამგირავებელი ქონების ხარჯზე.

11. წარმოდგენილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ურთიერთობის მონაწილენი მოგირავენ არიან გირავნობის დამგირავებელი და

11.1. _____

კოდექსი შემთხვევებს ითვალისწინებს გირავნობის სამოქალაქო პირდაპირ კანონისმიერი

11.2. _____

შეიძლება გადაცემაც ნივთები, დაგირავების სხვა საგნად მხოლოდ პირთათვის გამოყენებული იქნეს ის რომელთა დასაშვებია

11.3. _____

12. დაწერეთ მოცემული ტექსტის გეგმა:

13. დაიყავით 3 ჯგუფად. წაიკითხეთ ტექსტი და თითოეულმა ჯგუფმა გადმოეცით შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

14. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და წერილობით გადმოეცით მისი მოკლე შინაარსი.

თემა 13 მფლობელობა

1. განმარტეთ თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს სიტყვა „ფლობა“.
2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვის გამოყენებით:

3. დაუკვირდით, როგორ იგება ტერმინი „მფლობელობა“:

მფლობელობა

ფლობა - სახელი *ფლობს* ზმნის მოქმედებისა.

მ-ფლობ-ელ-ი - ვინც ფლობს რამეს, პატრონი.

მ-ფლობ-ელ-ობა - მფლობელის უფლება, პატრონობა, მპყრობელობა.

4.

ა. *კერძო მფლობელობა*, ბ. *საერთო-სახალხო მფლობელობა*, გ. *მინის მფლობელობა...* - განვმარტოთ თითოეული მათგანი:

ა. _____

ბ. _____

გ. _____

5. „მფლობელობის ქვეშ“ - შეეცადეთ, ახსნათ, რა იგულისხმება ამ ტერმინში?

6. ჩამოთვლილი სიტყვები დააჯგუფეთ შემდეგი სქემის მიხედვით:

მცენარეები, მინის ნაკვეთი, სამკაულები, შენობები, ავტომანქანა, ბინა, ფული, ავეჯი, წიაღისეული, ხელოვნების ნიმუშები, ბიბლიოთეკა, კოლექციები, ცხვრის ფარა...

უძრავი	მოძრავი

7. გავიხსენოთ სიტყვა „ფაქტი“ (ლათ. გაკეთებული) - 1. ნამდვილი, ჭეშმარიტი, არგამოგონილი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა. 2. სინამდვილე, რეალურობა. 3. მონაცემი, მასალა რაიმე მოსაზრების დასადასტურებლად, დასკვნის გასაკეთებლად.

8. განიხილეთ, როგორ იწარმოება ტერმინი ფაქტობრივი:

ფაქტობრივი

9. წავიკითხოთ ქველ-იდან ამ ტერმინის განმარტება:

ფაქტობრივი - ფაქტებზე დამყარებული, ფაქტებიდან გამომდინარე, ნამდვილი (ფაქტობრივი მასალა).

10. „ფაქტობრივი ბატონობა“ - იმსჯელეთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს ტერმინი.

11. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება ტერმინი „ბატონობა“ (ბატონ-ი --> ბატონ-ობა).

12. იმსჯელეთ და დაწერეთ, რას ნიშნავს ფრაზა:

პირთა ბატონობას დაქვემდებარებული საგნები.

13. წავიკითხოთ ტექსტი.

მფლობელობა

ნივთებისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მიმართ სამოქალაქო სამართალს აქვს აუცილებელი მოთხოვნა, რომ ისინი უნდა იყვნენ პირთა ბატონობას დაქვემდებარებული საგნები, ანუ უნდა შეიძლებოდეს მათი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა.

მფლობელობა არსებითად ორ ნიშანზე დაიყვანება: პირველი - ესაა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა, რაც არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ ნივთის მიმართ ფიზიკურ შემხებლობასთან. მეორე ნიშანი - ეს არის ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება ანუ მას სურდეს, რომ იყოს მფლობელი (მესაკუთრე, დამქირავებელი, მოსარგებლე და ა. შ.). აღსანიშნავია, რომ მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრეც. საკუთრება ნივთზე იურიდიული ბატონობაა, ხოლო მფლობელობა - ფაქტობრივი.

მფლობელად არ მიიჩნევა პირი, რომელიც ნივთზე ბატონობას ახორციელებს სხვისათვის, სხვის სასარგებლოდ; მაგ. მფლობელად ვერ ჩაითვლება შინამოსამსახურე, რომელმაც სახლის პატრონისათვის შეიძინა პროდუქტები ან საწარმოს თანამშრომელი, რომელმაც საწარმოსათვის შეიძინა აუცილებელი საგნები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება განვასხვავოთ ორი სხვადასხვა დონის მფლობელობა. მაგ. თუ ნივთს მხოლოდ მესაკუთრე ფლობს, ეს არის პირდაპირი მფლობელობა, ხოლო თუ მინა მესაკუთრის მიერ იჯარით არის გაცემული, აქ მესაკუთრე წარმოადგენს ნივთის არაპირდაპირ მფლობელს, ხოლო მეიჯარე - ნივთის პირდაპირ მფლობელს.

მოძრავ ნივთებზე სამოქალაქო სამართალი საკუთრების შექმნას ითვალისწინებს ხანდაზმულობით. აქ აუცილებელია არსებობდეს კეთილსინდისიერი ფლობა, ე. ი. მფლობელობითი ხანდაზმულობის საფუძველზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია არსებობდეს შემდეგ სამი პირობა: 1) ნივთის ფლობა, როგორც საკუთარის; 2) ნივთის ფლობა კეთილსინდისიერად; 3) ნივთის ფლობა კანონით განსაზღვრული დროის განმავლობაში. უძრავი ნივთებისთვის ეს ვადა 15 წელია და ის უწყვეტ ხასიათს უნდა ატარებდეს.

14. ამოიწერეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

15. ახალ სიტყვებსა და ფრაზებზე ააგეთ წინადადებები:

16. უპასუხეთ კითხვებს:

- 16.1. რა აუცილებელი მოთხოვნა აქვს ნივთებისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მიმართ სამოქალაქო სამართალს?
- 16.2. რა ორ ნიშანზე დაიყვანება მფლობელობა?
- 16.3. რომელი პირი არ მიიჩნევა მფლობელად?
- 16.3. რა ნიშნის მიხედვით ითვალისწინებს საკუთრების შექმნას სამოქალაქო სამართალი მოძრავ ნივთებზე?

16.4. ჩამოთვალეთ ხანდაზმულობის საფუძველზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელი სამი პირობა.

17. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მოთხოვნა მფლობელობა ბატონობას შემხებლობასთან ფაქტობრივი არამატერიალური

ნივთებისა დაქონებრივი სიკეთის მიმართ სამოქალაქო სამართალს აქვს აუცილებელი, რომ ისინი უნდა იყვნენ პირთა ბატონობას დაქვემდებარებული საგნები. არსებითად ორ ნიშანზე დაიყვანება: პირველი - ესაა ნივთზე ბატონობის შესაძლებლობა, რაც არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ ნივთის მიმართ ფიზიკურ მფლობელად არ მიიჩნევა პირი, რომელიც ნივთზე ახორციელებს სხვისათვის, სხვისი სასარგებლოდ.

18. დაწერეთ მოცემული ტექსტის გეგმა:

საშინაო დავალება:

19. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და წერილობით გადმოეცით მისი მოკლე შინაარსი.

თემა 14 სამუშაო დრო

1. გაიხსენეთ, რას ნიშნავს სიტყვა „მუშა“.
2. შეადარეთ ერთმანეთს სიტყვები: „მუშა“ – „სამუშაო“.
3. როგორ იწარმოება სიტყვა „სამუშაო“?

სამუშაო

4. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვის გამოყენებით:

5. მოიძიეთ ქველ-ში სიტყვა „სამუშაოს“ განმარტება და დაწერეთ:

6. რას ნიშნავს ტერმინი „სამუშაო დრო“? დაიყავით ჯგუფებად და ჩამოაყალიბეთ თქვენ-თქვენი მოსაზრებები.

7. წაიკითხეთ ტექსტი:

სამუშაო დრო

სამუშაო დროდ ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც მუშა ან მოსამსახურე ვალდებულია კანონისა და შრომის შინაგანაწესის შესაბამისად შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო.

შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუშაო დროის შემდეგ სახეებს:

- _ ნორმალური ხანგრძლივობის სამუშაო დრო;
- _ შემცირებული ხანგრძლივობის სამუშაო დრო;
- _ არასრული სამუშაო დრო.

სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვის ვალდებულება ეკისრებათ როგორც მუშა-მოსამსახურეებს, ასევე ადმინისტრაციას.

სამუშაო დრო თავის გამოხატულებას პოულობს სამუშაო დღესა და სამუშაო კვირაში.

სამუშაო დღე ეწოდება სახელმწიფოს მიერ პროფესიული კავშირების მონაწილეობით დღე-ღამის განმავლობაში დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობას.

სამუშაო კვირა ეწოდება კანონით დადგენილ სამუშაო დროის ნორმას კალენდარული კვირის განმავლობაში.

საწარმოებში, დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 41 საათს, ხოლო საჯარო მოსამსახურეებისათვის კი - 40 საათს.

სამუშაო დროის ხანგრძლივობის ნორმირებას სახელმწიფო ახორციელებს პროფესიული კავშირების მონაწილეობით.

ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა, როცა კვირის ნორმა 41 საათია, არ უნდა აღემატებოდეს შვიდ საათს, თუ კვირის ნორმა 36 საათია - 6 საათს, ხოლო როცა კვირის ნორმა 24 საათია - 4 საათს.

მუშებისა და მოსამსახურეებისაგან განსაზღვრულ წრეს შრომის დაცვის მიზნით უწესდებათ სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა. შემცირებული სამუშაო დრო დადგენილია:

1. 16-18 წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის 36 საათი კვირაში, ხოლო 15-დან 16 წლამდე ასაკის პირებისათვის, ასევე 14-დან-15 წლამდე მოსწავლეებისათვის, რომლებიც არდადეგების დროს მუშაობენ, 24 საათი კვირაში (ნორმალურ შვიდსაათიან სამუშაო დღეზე ნაკლები, ხელფასის შენარჩუნებით.)

2. შრომის მავნეპირობებიან სამუშაოზე დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის არაუმეტეს 36 საათი კვირაში.

საქართველოს კანონმდებლობით ასევე დაწესებულია სამუშაო კვირის შემცირებული ხანგრძლივობა ცალკეული კატეგორიის მუშაკებისათვის - ექიმები, მასწავლებლები.

ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში სამუშაო დროის დღიური ხანგრძლივობა შესაბამისად დიდდება, მაგრამ სამუშაო საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს.

შემცირებული სამუშაო დღე დადგენილია უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკთათვის, ექიმებისათვის, უსინათლოებისათვის, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, 18 წლამდე პირებისათვის; პირები, რომელთაც შრომა უხდებათ მავნე და მძიმეპირობებიან სამუშაოებზე.

სამუშაო დროის ხანგრძლივობა კანონით არის განსაზღვრული, მაგრამ მუშებს, მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით, როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე შემდეგაც შეიძლება დაწესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა.

არასრული სამუშაო დღის შემთხვევაში შრომის რეჟიმი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

– კვირის განმავლობაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს საათების განსაზღვრული რაოდენობით;

– კვირის განმავლობაში შემცირდეს სამუშაო დღეთა რაოდენობა, ამასთან სამუშაო დღის ხანგრძლივობა უცვლელი დარჩეს.

– ერთდროულად შემცირდეს როგორც სამუშაო დღის ხანგრძლივობა განსაზღვრული საათებით, ასევე კვირის განმავლობაში დღეთა რაოდენობა.

არასრული დღის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 4 საათზე ნაკლები, ხოლო კვირის განმავლობაში საათების რაოდენობა ხუთ და ექვსდღიან სამუშაო კვირაში შესაბამისად 20-24 საათზე ნაკლები.

ზემოთ დასახელებული შეღავათებით სარგებლობის უფლება აქვთ ორსულ ქალს, აგრეთვე ქალს, რომელსაც თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე უვლის ავადმყოფ ოჯახის წევრს.

შრომის კანონმდებლობა კრძალავს მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმებას დადგენილი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ, ამიტომ ზეგანაკვეთური მუშაობა, როგორც წესი, არ დაიშვება. ზეგანაკვეთურად ითვლება სამუშაო, რომელსაც ასრულებენ დანესებული ხანგრძლივობის სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ.

შრომის კანონმდებლობა მიუთითებს იმ პირებზე, რომლებიც არ შეიძლება დაუშვან ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, ესენია: - ორსული ქალები; - ქალები, რომლებსაც 3 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ; მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, ქალები, რომელთაც ჰყავთ 3-დან 12 წლამდე ინვალიდი ბავშვები.

ზეგანაკვეთური მუშაობა თითოეულ მუშაკზე არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, ხოლო მთელი წლის განმავლობაში 120 საათს. ზეგანაკვეთური მუშაობა დაიშვება ბრძანებით, პროფკავშირის კომიტეტის ნებართვით.

8. ამოიწერეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

9. ახალ სიტყვებსა და ფრაზებზე ააგეთ წინადადებები:

10. მოითქვით და წარმოადგინეთ თხრობით, თქვენი აზრით:

- 9.1. რომელ სამსახურში როგორი სამუშაო დღეა?
- 9.2. რომელ სამსახურშია კვირის ნორმა 41 საათი?
- 9.3. რომელ სამსახურშია კვირის ნორმა 36 საათი?
- 9.4. რომელ სამსახურშია კვირის ნორმა 24 საათი?

11. დაალაგეთ ფრაზები ისე, რომ მიიღოთ განმარტებები (მონიშნეთ ციფრებით, შემდეგ დაწერეთ განმარტება):

10.1. სამუშაო დღე

პროფესიული კავშირების მონაწილეობით

სამუშაო დღე ეწოდება

სამუშაო დროის ხანგრძლივობას

სახელმწიფოს მიერ

დღე-ღამის განმავლობაში

დადგენილი

10.2. სამუშაო კვირა

ნორმას

სამუშაო დროის

კანონით დადგენილ

კალენდარული კვირის განმავლობაში

სამუშაო კვირა ეწოდება

12. უპასუხეთ კითხვებს:

- 12.1. განმარტეთ სამუშაო დრო.
- 12.2. სამუშაო დროის რა სახეებს ითვალისწინებს შრომის კანონმდებლობა?
- 12.3. ვის ეკისრება სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვის ვალდებულება?
- 12.4. განმარტეთ სამუშაო დღე.

- 12.5. განმარტეთ სამუშაო კვირა.
- 12.6. რამდენ საათს არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა?
- 12.7. რას ნიშნავს სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა?
- 12.8. რომელი კატეგორიის მუშაკებს ეკუთვნით ასევე სამუშაო კვირის შემცირებული ხანგრძლივობა?
- 12.9. როგორ უნდა განისაზღვროს არასრული სამუშაო დღის შემთხვევაში შრომის რეჟიმი?
- 12.10. რას კრძალავს შრომის კანონმდებლობა?
- 12.11. განმარტეთ, რას ნიშნავს ზეგანაკვეთური მუშაობა?

13. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ხანგრძლივობა არასრული ინვალიდებისათვის ადმინისტრაციას მავნე შემცირებული

..... სამუშაო დღე დადგენილია უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკთათვის, ექიმებისათვის, უსინათლოებისათვის, I და II ჯგუფის, 18 წლამდე პირებისათვის; პირები, რომელთაც შრომა უხდებათ და მძიმე პირობებიან სამუშაოებზე. სამუშაო დროის კანონით არის განსაზღვრული, მაგრამ მუშებს, მოსამსახურეებსა და შორის შეთანხმებით, როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე შემდეგაც შეიძლება დაწესდეს სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა.

14. დააბოლოეთ წინადადებები:

განისაზღვროს კვირა ნაკლები დაიშვება ნებართვით განსაზღვრული

სამუშაო დროის ხანგრძლივობა კანონით არის
 როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე შემდეგაც შეიძლება დაწესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო

არასრული სამუშაო დღის შემთხვევაში შრომის რეჟიმი შეიძლება შემდეგნაირად

არასრული დღის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 4 საათზე
 შრომის კანონმდებლობა კრძალავს მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმებას დადგენილი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ, ამიტომ ზეგანაკვეთური მუშაობა, როგორც წესი, არ

ზეგანაკვეთური მუშაობა დაიშვება ბრძანებით, პროფკავშირის კომიტეტის

15. ტექსტი დაჰყავით მცირე მონაკვეთებად და დაასათაურეთ.

16. დაწერეთ მოცემული ტექსტის გეგმა:

17. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტი თხრობით.

საშინაო დავალება:

18. წაიკითხეთ ტექსტი სახლში და წერილობით გადმოეცით მისი შინაარსი.

თემა 15

არასრული სამუშაო დღე

1. გაიხსენეთ, რას ნიშნავს სიტყვა „მუშა“.
2. შეადარეთ ერთმანეთს სიტყვები: „მუშა“ – „სამუშაო“.
3. მოიძიეთ და ამოიწერეთ სიტყვე „სამუშაოს“ განმარტება ქველ-იდან:

4. როგორ იწარმოება სიტყვა „სამუშაო“?

სამუშაო

5. ამ სიტყვის გამოყენებით ააგეთ წინადადებები (4-5 წინადადება):

6. რას ნიშნავს ტერმინი „სამუშაო დრო“? დაიყავით ჯგუფებად და იმსჯელოთ.

7. წაიკითხეთ ტექსტი:

სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა

მუშებისა და მოსამსახურეებისაგან შემდგარ განსაზღვრულ ჯგუფს, შრომის დაცვის მიზნით, უწესდება სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა. შემცირებული სამუშაო დრო დადგენილია:

1. 16-18 წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის 36 საათი კვირაში, ხოლო 15-დან 16 წლამდე ასაკის პირებისათვის, ასევე 14-დან-15 წლამდე მოსწავლეებისათვის,

რომლებიც არდადეგების დროს მუშაობენ 24 საათი კვირაში (ნორმალურ შეიქცევისთანავე სამუშაო დღეზე ნაკლები ხელფასის შენარჩუნებით).

2. მაგნიტობებიან სამუშაოზე დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის - არაუმეტეს 36 საათი კვირაში.

საქართველოს კანონმდებლობით ასევე დაწესებულია სამუშაო კვირის შემცირებული ხანგრძლივობა ცალკეული კატეგორიის მუშაკებისათვის - ექიმები, მასწავლებლები.

ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში სამუშაო დროის დღიური ხანგრძლივობა, შესაბამისად, დიდდება, მაგრამ სამუშაო საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს.

შემცირებული სამუშაო დღე დადგენილია უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკთათვის, ექიმებისათვის, უსინათლოებისათვის, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის, 18 წლამდე პირებისათვის; პირები, რომელთაც შრომა უხდებათ მაგნიტობა და მძიმე პირობებიან სამუშაოებზე.

სამუშაო დროის ხანგრძლივობა კანონით არის განსაზღვრული, მაგრამ მუშებს, მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით, როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე შემდეგაც, შეიძლება დაწესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა.

არასრული სამუშაო დღე

არასრული სამუშაო დღის შემთხვევაში შრომის რეჟიმი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

– კვირის განმავლობაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს საათების განსაზღვრული რაოდენობით;

– კვირის განმავლობაში შემცირდეს სამუშაო დღეთა რაოდენობა, ამასთან, სამუშაო დღის ხანგრძლივობა უცვლელი დარჩეს.

– ერთდროულად შემცირდეს როგორც სამუშაო დღის ხანგრძლივობა - განსაზღვრული საათებით, ასევე კვირის განმავლობაში დღეთა რაოდენობა.

არასრული დღის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 4 საათზე ნაკლები, ხოლო კვირის განმავლობაში საათების რაოდენობა ხუთ და ექვსდღიან სამუშაო კვირაში, შესაბამისად, 20-24 საათზე ნაკლები.

ზემოთ დასახელებული შეღავათებით სარგებლობის უფლება აქვს ორსულ ქალს, აგრეთვე ქალს, რომელსაც თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე უვლის ავადმყოფ ოჯახის წევრს.

შრომის კანონმდებლობა კრძალავს მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმებას დადგენილი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ, ამიტომ ზეგანაკვეთური მუშაობა, როგორც წესი, არ დაიშვება. ზეგანაკვეთურად ითვლება სამუშაო, რომელსაც ასრულებენ დაწესებული ხანგრძლივობის სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ.

შრომის კანონმდებლობა მიუთითებს იმ პირებზე, რომლებიც არ შეიძლება დაუშვან ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, ესენია: ორსული ქალები; ქალები, რომლებსაც 3 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ; მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, ქალები, რომელთაც ჰყავთ 3-დან 12 წლამდე ინვალიდი ბავშვები.

ზეგანაკვეთური მუშაობა თითოეულ მუშაკზე არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, ხოლო მთელი წლის განმავლობაში - 120 საათს. ზეგანაკვეთური მუშაობა დაიშვება ბრძანებით, პროფკავშირის კომიტეტის ნებართვით.

8. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

9. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

სამუშაო დრო დადგენილია:

- 9.1. 16-18 წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის 36 საათი კვირაში;
- 9.2. 15-დან 16 წლამდე ასაკის პირებისათვის, ასევე 14-დან-15 წლამდე მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ დადგებიან დროს მუშაობენ - 10 საათი კვირაში.
- 9.3. შრომის მავნეპირობებიან სამუშაოზე დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის არაუმეტეს 36 საათი კვირაში.
- 9.4. ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში სამუშაო დროის დღიური ხანგრძლივობა შესაბამისად დიდდება, მაგრამ სამუშაო საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს.
- 9.5. სამუშაო დროის ხანგრძლივობა კანონით არის განსაზღვრული, მაგრამ მუშებს, მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმებით, როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე შემდეგაც შეიძლება დანესდეს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა.

10. უპასუხეთ კითხვებს:

- 9.1. რა ხანგრძლივობის უნდა იყოს არასრული სამუშაო დღე?
- 9.2. ვინ სარგებლობს შეღავათებით?
- 9.3. რა შეღავათები აქვს ორსულ ქალს? ჩამოთვალეთ.

- 9.4. შეიძლება თუ არა ზეგანაკვეთური მუშაობა და რა ითვლება ზეგანაკვეთად?
- 9.5. რა შემთხვევაში დაიშვება ზეგანაკვეთური მუშაობა?
- 9.6. რაზე მიუთითებს შრომის კანონმდებლობა?
- 9.7. რამდენი საათს არ უნდა აღემატებოდეს ზეგანაკვეთური მუშაობა წლის განმავლობაში?

11. გამოიყენეთ ფრაზები და შეადგინეთ წინადადებები:

- ზემოთ დასახელებული.....
- დაიშვება ბრძანებით...
- პროფკავშირის კომიტეტის ნებართვით...

12. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

განსაზღვრული რაოდენობა ზეგანაკვეთური ხანგრძლივობა რეჟიმი არასრული

არასრული სამუშაო დღის შემთხვევაში შრომის შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: კვირის განმავლობაში სამუშაო დღის შეიძლება შემცირდეს საათების რაოდენობით; დღის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 4 საათზე ნაკლები, ხოლო კვირის განმავლობაში საათების ხუთ და ექვსდღიან სამუშაო კვირაში შესაბამისად - 20-24 საათზე ნაკლები. მუშაობა თითოეულ მუშაკზე არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში.

13. ტექსტი 2 ნაწილისგან შედგება; დაიყავით 2 ჯგუფად, თითოეულმა

ჯგუფმა შეადგინოს თითო ნაწილის გეგმა და წარმოადგინოს პრეზენტაცია.

14. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

15. წაკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 16
დასვენების დრო; უქმე დღეები

1. რა განსხვავებაა სიტყვებს - „დასვენებასა“ და „შესვენებას“ შორის? იმსჯელეთ.

2. მოიხიეთ ქველ-ში ამ ორი სიტყვის განმარტება და ამოიწერეთ:

დასვენება - _____

შესვენება - _____

3. ამ სიტყვების გამოყენებით ააგეთ წინადადებები (4-5 წინადადება):

4. წაიკითხეთ ტექსტი:

დასვენების დრო

დასვენების დრო ეწოდება კანონით დადგენილ, სამუშაოსგან თავისუფალ დროს, რომლის გამოყენებაც მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ.

დასვენების დროის ძირითადი სახეებია:

– შესვენება სამუშაო დღის განმავლობაში, დღეთაშორისი და ყოველკვირეული დასვენება;

– ყოველდღიური უქმე დღეები, შვებულებები.

შესვენება სამუშაო დღის განმავლობაში შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. შესვენება, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ კვებისა და დასვენებისათვის და არ შედის სამუშაო დროში;

2. დამატებითი შესვენება, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, რომელიც შედის სამუშაო დროში.

მუშებსა და მოსამსახურეებს კვებისა და დასვენებისათვის ეძლევათ არაუმეტეს ორი საათის ხანგრძლივობის შესვენება. შესვენების დანაწიებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით.

შრომის კანონმდებლობა აწესებს დამატებით შესვენებებს, რომლებიც მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, კერძოდ, ქალებს, რომელთაც წლინახევრის ასაკამდე ბავშვები ჰყავთ, საერთო შესვენებების გარდა, ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის, სულ ცოტა - სამ საათში ერთხელ, არანაკლებ ოცდაათი წუთის ხანგრძლივობით; თუ ქალს ჰყავს წლინახევრის ასაკის ორი ან მეტი ბავშვი, შესვენების ხანგრძლივობა არანაკლებ ერთი საათი უნდა იყოს.

დამატებითი შესვენება ეძლევათ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ზამთრობით მუშაობენ ღია ცის ქვეშ: მტვირთავებს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა კატეგორიის მუშაკებსაც. მათ დამატებითი შესვენება ეთვლებათ სამუშაო დროში და ანაზღაურდება საშუალო ხელფასის მიხედვით.

დღეთაშორისი დასვენება ეწოდება დროს სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, მომდევნო დღის დანაწიებამდე და არ შეიძლება იყოს 12 საათზე ნაკლები და 16 საათზე მეტი.

ხუთდღიანი სამუშაო კვირის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ კვირაში ორი დასვენების დღე, ხოლო ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს - ერთი დასვენების დღე - კვირა.

საწარმოებში, დაწესებულებებში, სადაც საწარმო-ტექნიკური პირობების ან მოსახლეობის მუდმივი მომსახურების აუცილებლობის მიზეზით, შეუძლებელია მუშაობის შეჩერება, აგრეთვე სხვა საწარმოებში, სადაც შემოღებულია უწყვეტი წარმოება, მუშებისა და მოსამსახურეების ყოველ ჯგუფს დასვენების დღეები ეძლევათ რიგრიგობით, კვირის სხვადასხვა დღე, ცვლების განრიგის შესაბამისად.

დასვენების დღეებში მუშებისა და მომსახურეების სამუშაოდ გამოწვევის თაობაზე ადმინისტრაცია უნდა შეუთანხმდეს პროფკავშირის კომიტეტს, მისგან ნებართვის მიღების შემდეგ უნდა გაფორმდეს ბრძანება მიზეზისა და სამუშაოზე გამოსაწვევ მუშათა რაოდენობის აღნიშვნით. ამასთან, გამოუყენებელი გამოსასვლელი დღის ნაცვლად მუშაკს უნდა მიეცეს სამაგიერო დასვენების დღე ან დასვენების დღეს მუშაობა აუნაზღაურდეს ორმაგი ოდენობით. დასვენების დღეებში სამუშაოზე არ დაიშვებიან ორსული ქალები, ქალები, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ, 18 წლამდე ასაკის მუშები და მოსამსახურეები, ასევე - ინვალიდები, მათი თანხმობის გარეშე.

უქმე დღეები

ყოველკვირეული დასვენების დღეების გარდა, მუშები და მოსამსახურეები სამუშაოდან თავისუფლდებიან უქმე დღეებში. ასეთებად დადგენილია:

1 იანვარი - ახალი წელი;

7 იანვარი - უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;

19 იანვარი - ნათლისღება _უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გამოცხადების დღე აღდგომის დღე_ თარიღია გარდამავალია;

9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე;

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე და ა.შ.

უქმე დღეები კანონით პირდაპირ არის დადგენილი.

უქმე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია სანარმო-ტექნიკური პირობების გამო.

მუშებსა და მოსამსახურეებს უქმე დღეებში მუშაობა ორმაგად აუნაზღაურდებათ, მათი სურვილით, შეიძლება მიეცეთ სამაგიერო დასვენების დღე.

დასვენების დროის მნიშვნელოვანი სახეა ყოველწლიური შვებულება, რომელიც მუშაკს ეძლევა სანარმოში, დანესებულებაში უწყვეტი მუშაობის თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ. სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში ამ სტაჟში იანგარიშება ძველ და ახალ სამუშაოზე მუშაობის შეჯამებული დრო.

შვებულების მიღების უფლებით არ სარგებლობენ დროებით და სეზონურ სამუშაოებზე მომუშავე მუშები და მოსამსახურეები.

მუშაკს ყოველწლიური შვებულება მიეცემა 24 სამუშაო დღის ოდენობით, ხოლო საჭარო მოსამსახურეებს და 18 წლამდე ასაკის პირებს შვებულება მიეცემათ ერთი კალენდარული თვის ხანგრძლივობით.

განათლების მუშაკები, მეცნიერ-თანამშრომლები სარგებლობენ 48 სამუშაო დღიანი შვებულებით. შვებულებაში წასვლის რიგს აწესებს ადმინისტრაცია პროფკავშირთან შეთანხმებით და მუშაკს აუნყებს შვებულებაში გასვლამდე არაუგვიანეს 15 დღისა.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ამ სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები (6-7 წინადადება):

7. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

7.1. დასვენების დრო ეწოდება კანონით დადგენილ სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, რომლის გამოყენებაც მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ თავისი შეხედულებისამებრ;

7.2. შესვენება, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ კვებისა და დასვენებისათვის და შედის სამუშაო დროში; _____

7.3. მუშებსა და მოსამსახურეებს კვების და დასვენებისათვის ეძლევათ არა უმეტეს ორი საათის ხანგრძლივობის შესვენება; _____

7.4. შესვენების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება თავად მუშების მიერ;

7.5. შრომის კანონმდებლობა აწესებს დამატებით შესვენებებს, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო. _____

8. უპასუხეთ კითხვებს:

- 8.1. რას ეწოდება დასვენების დრო?
- 8.2. რა არის დასვენების დროის ძირითადი სახეები?
- 8.3. შესვენების რა სახეები არსებობს?
- 8.4. რით განისაზღვრება შესვენების დაწყება და დასრულება?
- 8.5. შრომის კანონმდებლობის მიხედვით, ვის ეძლევა დამატებითი შესვენებები?
- 8.6. რას ეწოდება დღეთაშორისი დასვენება?
- 8.7. რას ნიშნავს ხუთდღიანი და ექვსდღიანი სამუშაო კვირა?
- 8.8. როგორ უნდა ანაზღაურდეს დასვენების დღეს მუშაობა?
- 8.9. რომელ სამუშაოებზე დასაშვებია უქმ დღეებში მუშაობა?
- 8.10. რა არის შვებულება?
- 8.11. რა რაოდენობის დღეები ეძლევათ მოსამსახურეებს შვებულებისათვის?
- 8.12. რამდენდღიანი შვებულება აქვთ განათლების მუშაკებს?

9. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

დანესებულებაში სანარმო-ტექნიკური სანარმოებში დღეთაშორისი დასვენების კვირის

..... დასვენება ეწოდება დროს სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, მომდევნო დღის დანწყებამდე. ხუთდღიანი სამუშაო დროს მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ კვირაში ორი დღე, ხოლო ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს ერთი დასვენების დღე-კვირა. საწარმოებში,, სადაც პირობების ან მოსახლეობის მუდმივი მომსახურების აუცილებლობის მიზეზით შეუძლებელია მუშაობის შეჩერება, აგრეთვე სხვა, სადაც შემოღებულია უწყვეტი წარმოება, მუშებისა და მოსამსახურეების ყოველ ჯგუფს დასვენების დღეები ეძლევათ რიგრიგობით, კვირის სხვადასხვა დღე, ცვლიანობის განრიგის შესაბამისად.

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მოსამსახურეები ოდენობით შეთანხმებით ხანგრძლივობით შვებულება რიგრიგობით

საწარმოებში, სადაც შემოღებულია უწყვეტი წარმოება, მუშებისა და მოსამსახურეების ყოველ ჯგუფს დასვენების დღეები ეძლევათ

დასვენების დროის მნიშვნელოვანი სახეა ყოველწლიური

შვებულების მიღების უფლებით არ სარგებლობენ დროებით და სემონურ სამუშაოებზე მომუშავე მუშები და

შვებულებაში წასვლის რიგს აწესებს ადმინისტრაცია პროფკავშირთან

მუშაკს ყოველწლიური შვებულება მიეცემა 24 სამუშაო დღის

საჯარო მოსამსახურეებს და 18 წლამდე ასაკის პირებს შვებულება მიეცემათ ერთი კალენდარული თვის

11. დაიყავით 2 ჯგუფად, თითოეულმა ჯგუფმა შეადგინოს თითო ნაწილის გეგმა.

12. ჯგუფებმა წარმოადგინონ პრეზენტაციები.

13. ერთობლივად შეადგინეთ ტექსტის სრული გეგმა.

14. გაიყავით 2 ჯგუფად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები თემის ირგვლივ, მეორემ - უპასუხოს; 20 წუთის შემდეგ შეცვალეთ როლები.

15. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დაგალება:

16. წაკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 17

შრომის ხელშეკრულება

1. რას ნიშნავს სიტყვა შეკრული?
2. როგორაა ნაწარმოები ტერმინი „ხელშეკრულება“? იმსჯელეთ. გაიხსენეთ, რა ეწოდება ასეთ სიტყვებს.

ხელშეკრულება

3. მოიძიეთ ქველ-ში ამ სიტყვის განმარტება და ამოიწერეთ:

ხელშეკრულება - _____

4. წაიკითხეთ ტექსტის პირველი ნაწილი:

შრომის ხელშეკრულება

კერძო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია შრომის სამართალი.

შრომის სამართალი სამართლის ისეთი დარგია, რომელიც აწესრიგებს შრომის პროცესში წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს შრომის სამართლის ნორმების საფუძველზე.

ეს დარგი ძირითად როლს ასრულებს მუშაკსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობის რეგულირების საქმეში.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, მუშაკი და მეორე მხრივ - დამსაქმებელი.

შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში მუშაკი (მუშა ან მოსამსახურე) შეიძლება იყოს როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, ასევე - უცხოელიც, ხოლო დამსაქმებელად შეიძლება გამოვიდეს როგორც საჯარო სამართლის, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირი (საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია მისი ადმინისტრაციის სახით).

შრომის სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების ძირითადი საფუძველია შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი), მაგრამ ზოგიერთი კატეგორიის მუშაკისათვის ასეთი ურთიერთობის წარმოქმნას წინ უსწრებს სხვა იურიდიული ფაქტი, კერძოდ, იმ პირთათვის, რომლებიც სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის წესით ან არჩევის წესით იკავებენ თანამდებობას.

შრომის ხელშეკრულება - ეს არის შეთანხმება საწარმოს, დანესებულების ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე - საწარმოს, დანესებულების ადმინისტრაცია - ვალდებულებას იღებს, უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე - მუშაკი, ვალდებულებას იღებს, შეასრულოს გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანანგებს. შრომის ხელშეკრულება არის ორმხრივი შეთანხმება, რომელიც არ შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე, არ დაიშვება შრომითი ვალდებულების სხვა პირზე დაკისრება.

შრომის უფლებაუნარიანობა მუშაკს სრული მოცულობით აღმოუჩენდება 16 წლის ასაკიდან.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს შრომის თავისუფლებას, ასევე, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით საქარო სამსახურის შესახებ.

ორგანიზაციის სახელით მუშაკთან შრომის ხელშეკრულებას (კონტრაქტს) დებს მისი ხელმძღვანელი ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს:

1. განუსაზღვრელი ვადით;
2. განსაზღვრული ვადით;
3. გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

შრომის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან. სამუშაოზე მიღება ფორმდება საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრძანებით.

შრომის კანონმდებლობის თანახმად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საერთო საფუძვლებია:

_მხარეთა შეთანხმება;

_ვადის გასვლა, თუ ის ვადიანია ან გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით არის დადებული.

_პირის სამხედრო სამსახურში განწვევა ან სამხედრო სამსახურში შესვლა.

_შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა მუშაკის ან ადმინისტრაციის ინიციატივით.

_მუშაკის თხოვნით მისი სხვა სამუშაოზე გადასვლა.

_სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რითაც მუშაკი მსჯავრდებულია. საწარმოს, დანესებულების ადმინისტრაციას შეუძლია ვადამდე მოითხოვოს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა:

1. ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის ან შტატების შემცირების დროს.

2. თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას არასაკმარის კვალიფიკაციას ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

3. მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების ან შინაგანანგის სისტემატური შეუსრულებლობა.

4. თუ სასამართლოს გადანწყვეტილებით, სამუშაოზე აღადგენენ მუშაკს, რომელიც ასრულებდა ამ სამუშაოს.

5. თუ მუშაკი სამუშაოზე გამოცხადდა არაფხიზელ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ.

6. იმ მუშაკის მიერ ამორალური საქციელის ჩადენის გამო, რომელიც აღმზრდელობით ფუნქციას ასრულებს.

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ფორმდება ბრძანებით. დათხოვნილ მუშაკს შრომის წიგნაკი ეძლევა დათხოვნის დღეს.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ამ სიტყვების გამოყენებით, შეადგინეთ წინადადებები (5-6 წინადადება):

7. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

7.1. კერძო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია შრომის სამართალი.

7.2. შრომის სამართალი სამართლის ისეთი დარგია, რომელიც აწესრიგებს შრომის პროცესში წარმოშობილ სისხლის სამართლებრივ ურთიერთობებს. _____

7.3. ეს დარგი ძირითად როლს ასრულებს მუშაკსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობის რეგულირების საქმეში. _____

7.4. შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, მუშაკი და მეორე მხრივ - პროკურატურა. _____

7.5. შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში მუშაკი (მუშა ან მოსამსახურე, შეიძლება იყოს როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, ასევე უცხოელიც. _____

7.6. შრომის ხელშეკრულება ეს არის შეთანხმება საწარმოს, დანესებულების ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის. _____

8. უპასუხეთ კითხვებს:

- 8.1. სამართლის რომელი დარგები იცით?
- 8.2. რას აწესრიგებს შრომის სამართალი და რის საფუძველზე?
- 8.3. ვინ არიან შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები?
- 8.4. ვინ შეიძლება ჩაერთოს შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში?
- 8.5. ვინ შეიძლება იყოს დამსაქმებელი?
- 8.6. რა არის შრომის სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების საფუძველი?
- 8.7. რას ნიშნავს კონკურსის წესით მიღებული ან არჩეული მუშაკი?
- 8.8. რას წარმოადგენს შრომის ხელშეკრულება და ვინ რა ვალდებულებას კისრულობს?
- 8.9. რა ასაკიდანაა პიროვნება შრომის უფლებაუნარიანი?

9. შემოხაზეთ სწორი წინადადება:

- 9.1. ორგანიზაციის სახელით მუშაკთან შრომის ხელშეკრულებას (კონტრაქტს) დებს მისი ხელმძღვანელი ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი.
- 9.2. შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ განუსაზღვრელი ვადით.
- 9.3. შრომის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.
- 9.4. შრომის ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერიდან 1 კვირის ვადაში.
- 9.5. სამუშაოზე მიღება ფორმდება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

10. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კონტრაქტს ხელშეკრულების წერილობითი დათხოვნილ წარმომადგენელი მუშაკთან

ორგანიზაციის სახელით შრომის ხელშეკრულებას (.....) დებს მისი ხელმძღვანელი ან ადმინისტრაციის თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. შრომის ხელშეკრულება იდება ფორმით და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის შემდეგ. საწარმოს, დანესებულების ადმინისტრაციას შეუძლია ვადამდე მოითხოვს შრომის შეწყვეტა. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ფორმდება ბრძანებით. მუშაკს შრომის წიგნაკი ეძლევა დათხოვნის დღეს.

11. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ხელშეკრულება პირობებით გათვალისწინებით ფაქტი დამსაქმებელი

შრომის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ ერთი მხრივ, მუშაკი და მეორე მხრივ - შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში მუშაკი. შრომის სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების ძირითადი საფუძველია შრომის ზოგიერთი კატეგორიის მუშაკისათვის ასეთი ურთიერთობის წარმოშობას წინ უსწრებს სხვა იურიდიული საწარმოს, დანესებულების ადმინისტრაცია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო მუშაკი ვალდებულებას იღებს შეასრულოს გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის

12. გაიყავით 2 ჯგუფად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები თემის ირგვლივ, მეორემ - უპასუხოს; 20 წუთის შემდეგ შეცვალეთ როლები.

13. შეადგინეთ გეგმა ინდივიდუალურად და წარმოადგინეთ პრეზენტაცია.

14. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:


15. წაიკითხეთ ტექსტი სახელში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 18

პირთა სამოქალაქო სამართლებრივი იდენტიფიკაციის კრიტერიუმები

1. მოძებნეთ მოცემული ტერმინები ლექსიკონში. იმსჯელეთ მათს მნიშვნელობაზე:
იდენტიფიკაცია
კრიტერიუმი
რეგისტრაცია

2. დაუკვირდით სქემას და იმსჯელეთ:



3. როგორ ფიქრობთ, რის შესახებაა ტექსტი?
4. რას ნიშნავს ტერმინი: „სამართლებრივი იდენტიფიკაცია“?
5. წაიკითხეთ ტექსტი:

პირთა სამოქალაქო სამართლებრივი იდენტიფიკაციის კრიტერიუმები

ადამიანთა იდენტიფიკაციას, როგორც პირთა იდენტიფიკაციის ძირითად კრიტერიუმებს, წარმოადგენს სახელი და საცხოვრებელი ადგილი.

ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, კონკრეტულ სახელთან არის დაკავშირებული და ამის მეშვეობით კი - კონკრეტულ პირთან.

სახელის ტარება ყოველი ფიზიკური პირის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაცაა. სახელს ყოველი უფლებიანად ადამიანი ატარებს სამოქალაქო, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისი ინდივიდუალობის (იდენტურობის) აღსანიშნავად.

სამოქალაქო სახელი ყოველთვის არის პირადი არაქონებრივი სიკეთე, რომლის გასხვისება და სხვა პირებზე გადაცემა დაუშვებელია, ხოლო კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გაცემა სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია. მაგ. ლალიძის წყლების საწარმო შეიძლება გასხვისდეს

საფირმო სახელწოდებასთან ერთად - „ლალიძის წყლები“ ან შპს-ის ერთ-ერთი პარტნიორი თავის სახელს აძლევს საწარმოს საფირმო სახელწოდებად, თუ ის საზოგადოებიდან გავა, საზოგადოება მაინც ინარჩუნებს მის სახელს, თუ მხარეები სხვა რამეზე არ იყენებენ შეთანხმებული.

ფიზიკური პირის სახელის ქვეშ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იგულისხმება ადამიანის საკუთარი სახელი და გვარი. სახელის შექმნის საფუძველს წარმოადგენს დაბადება, დაქორწინება და სახელის შეცვლა ნებაყოფლობით.

სახელის უფლების შინაარსი მოიცავს ინდივიდის უფლებას, განსაზღვრულ ურთიერთობებში ისარგებლოს გამოგონილი სახელით ანუ ფსევდონიმით (მწერლები, მსახიობები), მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობებში, რაიმე ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმოწერისას, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ „სამოქალაქო სახელი“. მხოლოდ ამ სახელით შეიძლება მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლა, დაქორწინება.

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება სამეწარმეო სახელი ანუ ფირმა - სახელი, რომლითაც პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელი ადგილი არის ის ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელის და მას ძირითად საცხოვრებლად ირჩევს. საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს. ე. ი. ფიზიკურ პირს. იურიდიული პირის გეოგრაფიული მდებარეობის აღსანიშნავად კანონი იყენებს ადგილსამყოფელის ან იურიდიული მისამართის ცნებას.

შესაძლებელია, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი და მისი სამეწარმეო საქმიანობის ადგილსამყოფელი ემთხვეოდეს ერთმანეთს, თუ ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეცაა და ამ საწარმოს მისამართად საცხოვრებელ ადგილს იყენებს.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსიც განამტკიცებს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპს. პირს უფლება აქვს, ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ხოლო დარეგისტრირებული იყოს ერთ ადგილზე, ასევე, გადასახადების გადახდის ადგილად მიიჩნიოს ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილი.

ასევე აღსანიშნავია, რომ პირი ჯერ ირჩევს საცხოვრებელ ადგილს, ხოლო შემდეგ დგება საპოლიციო ან სამისამართო აღრიცხვაზე.

არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლების საცხოვრებელი ადგილი.

სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია საცხოვრებელ ადგილს, რადგან სწორედ მის მიხედვით განისაზღვრება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

– პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების საკითხი ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების საკითხი.

- _ სამკვიდროს გახსნის ადგილი.
- _ ვალდებულების შესრულების ადგილი.
- _ კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება, ისევე როგორც საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, ორ გარემოებაზეა დამოკიდებულ, ერთი - ეს არის პირის ნება, მიანების თავე ამ საცხოვრებელ ადგილს, მეორე - პრაქტიკულად განახორციელოს ეს.

6. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

7. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:

8. მიუწერეთ წინადადებებს: სწორია - არასწორია:

- 8.1. ადამიანთა იდენტიფიკაციას, როგორც პირთა იდენტიფიკაციის ძირითად კრიტერიუმებს, წარმოადგენს წარმომავლობა და საცხოვრებელი ფართი.

- 8.2. ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, კონკრეტულ სახელთან არის დაკავშირებული და ამის მეშვეობით კი კონკრეტულ პირთან.

- 8.3. სახელის ტარება ყოველი ფიზიკური პირის არა მარტო მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაცაა. _____

- 8.4. სამოქალაქო სახელი არის პირადი ქონებრივი სიკეთე. _____
- 8.5. ფიზიკური პირის სახელის ქვეშ, საქართველოს კანონმდებლობას მიხედვით, იგულისხმება ადამიანის საკუთარი სახელი და გვარი. _____
- 8.6. ინდივიდს არ აქვს უფლება, ისარგებლოს გამოგონილი სახელით ანუ ფსევდონიმით. _____

9. უპასუხეთ კითხვებს:

- 9.1. რა არის ადამიანის იდენტიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები?
- 9.2. სახელის ტარება მოვალეობაა თუ უფლება?
- 9.3. რა განსხვავებაა სამოქალაქო სახელსა და კომერციულ სახელს შორის?
- 9.4. რა იგულისხმება ფიზიკური პირის სახელის ქვეშ?
- 9.5. რა არის სახელის შექმნის საფუძველი?
- 9.6. რას მოიცავს სახელის უფლების შინაარსი?
- 9.7. რა უნდა გამოიყენოს პირმა ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმოწერისას?
- 9.8. რა არის საცხოვრებელი ადგილი?
- 9.9. რა უფლებით აძლევს პირს სამოქალაქო კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად?
- 9.10. რა არის არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილი?
- 9.11. რა განისაზღვრება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით?
- 9.12. როდის ხდება საცხოვრებელი ადგილის გაუქმება?

10. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

საცხოვრებელი სამოქალაქო უფლება კონკრეტულ ინდივიდუალობის უფლებაუნარიანი იდენტიფიკაციას

ადამიანთა როგორც პირთა იდენტიფიკაციის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს სახელი და ადგილი. ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი სახელთან არის დაკავშირებული და ამის მეშვეობით კი კონკრეტულ პირთან. სახელის ტარება ყოველი ფიზიკური პირის არა მარტო მხოლოდ, არამედ მოვალეობაცაა. სახელს ყოველი ადამიანი ატარებს სამოქალაქო, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისი (იდენტიფიკაციის) აღსანიშნავად. სახელი ყოველთვის არის პირადი არაქონებრივი სიკეთე.

11. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ადგილსამყოფელს გვარი ნებაყოფლობით ცნებას ფსევდონიმით სიკეთე
 კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი

ფიზიკური პირის სახელის ქვეშ, საქართველოს კანონმდებლობას მიხედვით, იგულისხმება ადამიანის საკუთარი სახელი და

სახელის შექმნის საფუძველს წარმოადგენს დაბადება, დაქორწინება და სახელის შეცვლა

სახელის უფლების შინაარსი მოიცავს ინდივიდის უფლებას, განსაზღვრულ ურთიერთობებში ისარგებლოს გამოგონილი სახელით ანუ

საცხოვრებელი ადგილი არის ის ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს

იურიდიული პირის გეოგრაფიული მდებარეობის აღსანიშნავად კანონი იყენებს ადგილსამყოფელის ან იურიდიული მისამართის

12. გამოყავით ტექსტიდან სხვა სიტყვებისგან ნაწარმოები ტერმინები, გამოყავით მანარმოებლები (პრეფიქსი, სუფიქსი):

13. შეადგინეთ გეგმა და წარმოადგინეთ პრეზენტაცია.


14. გაიყავით 2 ჯგუფად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები თემის ირგვლივ, მეორემ - უპასუხოს; 20 წუთის შემდეგ შეცვალებით როლები.

15. გადმოიყვით ტექსტის შინაარსი თხრობით.

თემა 19

იურიდიული პირები

1. გადმოეცით თქვენი აზრი: რა არის იურიდიული პირი?
2. რა განსხვავებაა იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის?
3. იმსჯელეთ სქემის თაობაზე:



4. წაიკითხეთ ტექსტი:

იურიდიული პირები

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

იურიდიული პირები ხასიათდებიან შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

– ყოველი იურიდიული პირი არის ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პირთა ანდა ქონების გაერთიანების შედეგადაა აღმოცენებული - ანუ, იურიდიული პირი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და ყოველ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს მართვის ორგანოები, რომელთა საშუალებითაც ახორციელებს თავის საქმიანობას.

– მეორე ნიშანი - ეს არის ის, რომ იურიდიული პირი ყოველთვის იქმნება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

– იურიდიული პირის ერთ-ერთ აუცილებელი ნიშანია ის, რომ მას უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ქონება, რომელიც განცალკევებული უნდა იყოს წევრთა პირადი ქონებისაგან. იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე თვითონ აგებს პასუხს თავისი ქონებით და არა მონაწილეების ქონებით.

– სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის გაიოლების მიზნით იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი, რომლის საფუძველზეც ის შეიძენს უფლებებს და კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, არის მოსარჩლე და მოპასუხე.

– საქართველოს სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის იურიდიულ პირების წარმოშობას რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს.

იურიდიული პირების ყველაზე უნივერსალური დაყოფა სამართლის სისტემას უკავშირდება და არსებობს კერძო სამართლის და საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, ფიზიკური პირისაგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოიქმნება მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად და წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების არც შექმნა და არც მათი საქმიანობა სამოქალაქო სამართლის მოწესრიგების სფეროს არ შეადგენს, მაგრამ სამოქალაქო სამართალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს აღიარებს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად.

საჯარო სამართლის ყველა იურიდიულ პირს ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი, რაც მათ განასხვავებს კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან: ყველა ისინი იქმნება საგანკარგულებო წესით, ანუ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული. კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საქმიანობა იურიდიულ პირს შუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები (5-6 წინადადება):


7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- 7.1. ყოველი იურიდიული პირი არის ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პირთა ანდა ქონების გაერთიანების შედეგადაა აღმოცენებული.
- 7.2. იურიდიული პირი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ სურვილით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.
- 7.3. ყოველ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს მართვის ორგანოები, რომელთა საშუალებითაც ახორციელებს თავის საქმიანობას.
- 7.4. იურიდიული პირი არასოდეს იქმნება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.
- 7.5. სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის გაიოლების მიზნით იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი.
- 7.6. საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა ნების იძულებითი გამოვლენა.

8. უპასუხეთ კითხვებს:

- 8.1. რა არის იურიდიული პირი კოდექსის მიხედვით?
- 8.2. რა ნიშნებით ხასიათდებიან იურიდიული პირები?
- 8.3. რა არის იურიდიულ პირთა უნივერსალური დაყოფის პრინციპი?
- 8.4. რა უდევს საფუძვლად საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნას?
- 8.5. როდის და როგორ წარმოიშობა იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა? როდის წყდება?
- 8.6. რა საერთო ნიშანი ახასიათებს საჯარო სამართლის ყველა იურიდიულ პირს?
- 8.7. რა განსხვავებაა საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის?

9. ააგეთ მსჯელობა მოცემული სქემების მიხედვით:



10. ტექსტიდან გამოყავით სპეციფიკური ენობრივი ფორმები. დაუკვირდით, როგორ იგება წინადადება და შეადგინეთ ამ ფორმებზე წინადადებები.

11. იმსჯელეთ ფორმებზე:

უფლებაუნარიანობა
ქმედუნარიანობა
დამოკიდებული – დამოუკიდებელი

12. ააგეთ წინადადებები ამ ფორმებზე:

13. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

გარიგებებს მოსარჩელედ იურიდიული უფლებებსა წარმონაქმნი კოდექსის

სამოქალაქო მიხედვით, პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს და მოვალეობებს, დებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს და მოპასუხედ.

14. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მოპასუხე ქონებით საფუძველზე ავტონომიურობა სუბიექტებად ქონება

იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი

იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე თვითონ აგებს პასუხს თავისი ქონებით და არა მონაწილეების

ის შეიძენს უფლებებს და კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, არის მოსარჩლე და

საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძველად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა

სამოქალაქო სამართალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს აღიარებს სამოქალაქო სამართლის

ყველა ისინი იქმნება საგანკარგულებო წესით ანუ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს გადანყვეტილების

15. გაიყავით 2 ჯგუფად: ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები თემის ირგვლივ, მეორემ - უპასუხოთ; 20 წუთის შემდეგ შეცვალოთ როლები.

16. შეადგინეთ გეგმა ინდივიდუალურად და წარმოადგინეთ პრეზენტაცია.

17. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

18. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 20

სახელმწიფო ორგანოთა სისტემა

1. რა არის სისტემა? იმსჯელეთ; გადმოიყვით თქვენი ინდივიდუალური მოსაზრებები.
2. რომელ სახელმწიფო ორგანოებს იცნობთ? ჩამოთვალეთ.
3. თქვენი აზრით, რა ურთიერთობა უნდა არსებობდეს ამ ორგანოებს შორის? იმსჯელეთ. მოიყვანეთ არგუმენტები, დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

სახელმწიფო ორგანოთა სისტემა

სახელმწიფო ორგანოები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სახელმწიფოს საქმიანობის ერთიან პროცესში. მათი მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას. ისინი პრაქტიკულად ახორციელებენ სახელმწიფო საქმიანობის სხვადასხვა ფუნქციას და, ამასთან, თითოეულს ახასიათებს საერთო ნიშნები. ესენია: სახელმწიფო ორგანოები აღჭურვილია სახელმწიფო უფლებამოსილებით, რაც აძლევს მათ საშუალებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გადანაცვიტონ მათთვის მიკუთვნებული საკითხები, გამოსცენ სამართლებრივი აქტები, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებებით.

მეორე მახასიათებელი ნიშანი - ეს არის ის, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო იქმნება განსაზღვრული წესით. მაგ. პარლამენტი იქმნება არჩევის წესით, რაც კონსტიტუციის 49-ე მუხლით არის მონესრიგებული.

აქვე აღსანიშნავია ის, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო მოქმედებს სახელმწიფოს მიერ წინასწარ განსაზღვრული წესით, ანუ მას შეუძლია აკეთოს მხოლოდ ის, რის უფლებაც მას აქვს კანონით. მასზე არ ვრცელდება პრინციპი, დაშვებულია ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული, რომელიც კერძო პირს ახასიათებს. ერთობლიობაში საქართველოს სახელმწიფო ორგანოები ერთიან სახელმწიფო ორგანოთა სისტემას ქმნიან.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპით. ამიტომ საქართველოში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის შექმნილია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები.

სახელმწიფო ორგანოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. საკანონმდებლო ფუნქცია ქვეყანაში ერთადერთ ორგანოს

აქვს, ეს არის პარლამენტი, რომელიც ამავე დროს არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, რომელთაც უფლება აქვთ ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, მიიღონ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი კანონები.

აღმასრულებელი ხელისუფლება ეს არის სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რომელიც აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხასიათისაა და ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას.

ტერიტორიული მოქმედების მიხედვით აღმასრულებელი ხელისუფლება იყოფა საერთო-სახელმწიფოებრივ ორგანოებად, რეგიონულ ორგანოებად და ადგილობრივ ორგანოებად.

უფლებამოსილების მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები იყოფა საერთო კომპეტენციის, რომლებიც ხელმძღვანელობენ აღმასრულებელი საქმიანობის ყველა დარგს (მთავრობა) და სპეციალური კომპეტენციის ორგანოებად, რომლებიც ხელმძღვანელობენ ცალკეულ სფეროებს და დარგებს (განათლების სამინისტრო). ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში ცალკე უნდა გამოვყოთ პრეზიდენტი, რომელიც ასრულებს უმაღლესი ორგანოების შეთანხმებული და კოორდინირებული საქმიანობის ფუნქციას.

მესამე ძირითადი ჯგუფი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში ეკუთვნის სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, რომელიც თავის სისტემაში აერთიანებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის და აჭარის უმაღლეს სასამართლოებს, თბილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოებს, რაიონულ და საქალაქო სასამართლოებს.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

7.1. სახელმწიფო ორგანოები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სახელმწიფოს საქმიანობის ერთიან პროცესში.

7.2. სახელმწიფო ორგანოები აღჭურვილია სახელმწიფო უფლებამოსილებით, რაც აძლევს მათ საშუალებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვიტოს მისთვის მიკუთვნებული საკითხები.

7.3. ყველა სახელმწიფო ორგანო იქმნება განსაზღვრული წესით. მაგ. პარლამენტი იქმნება დანიშვნის წესით, რაც კონსტიტუციის 49-ე მუხლით არის მოწესრიგებული.

7.4. ყველა სახელმწიფო ორგანო მოქმედებს სახელმწიფოს მიერ წინასწარ განსაზღვრული წესით ანუ მას შეუძლია აკეთოს მხოლოდ ის, რის უფლებაც მას აქვს კანონით.

7.5. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების უნიტარულობის პრინციპზე.

7.6. სახელმწიფო ორგანოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

8. უპასუხეთ კითხვებს:

- 8.1. რა ადგილი უკავია სახელმწიფო ორგანოებს სახელმწიფოს საქმიანობის ერთიან პროცესში?
- 8.2. რა წესით მოქმედებენ სახელმწიფო ორგანოები?
- 8.3. რა პრინციპით ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციის თანახმად?
- 8.4. რომელ ორგანოს აქვს საკანონმდებლო ფუნქცია?
- 8.5. რა ფუნქცია ეკისრება აღმასრულებელ ხელისუფლებას?
- 8.6. რა ორგანოებად იყოფა აღმასრულებელი ხელისუფლება ტერიტორიული მოქმედების მიხედვით?
- 8.7. რა თვალსაზრისით იყოფა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები უფლებამოსილების მიხედვით?
- 8.8. რა ფუნქცია ეკისრებათ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს?

9. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

10. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელოთ.

11. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

აღჭურვილია იძულებითი დანაწილების კომპეტენციის სამართლებრივი ორგანოები

სახელმწიფო განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სახელმწიფოს საქმიანობის ერთიან პროცესში. სახელმწიფო ორგანოები სახელმწიფო

უფლებამოსილებით, რაც აძლევს მათ საშუალებას თავისი ფარგლებში გადანყვიტოს მისთვის მიკუთვნებული საკითხები, გამოსცეს აქტები, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს სახელმწიფო ღონისძიებებით.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების პრინციპით.

12. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

13. შეადგინეთ გეგმა.

14. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

15. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 21

საქართველოს პრეზიდენტი

1. დაუკვირდით სქემას და მასზე დაყრდნობით ააგეთ მსჯელობა.

შეიძლება გახდეს დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

საქართველოს
პრეზიდენტი

აირჩევა უშუალოდ ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით.

2. განმარტეთ, რას ნიშნავს: „მორიგი არჩევნები“?

3. მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

ინაუგურაცია - _____

სუვერენიტეტი - _____

4. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს პრეზიდენტი

ტერმინი „პრეზიდენტი“ წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „პრესიდენს“ (ის, ვინც ზის წინ) და იხმარება ლიდერის, ხელმძღვანელის მნიშვნელობით.

საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი შემოღებული იქნა 1991 წლის 14 აპრილის კანონით, რომელიც შემდგომში ჩამოყალიბდა 1995 წლის კონსტიტუციაში. ამ უკანასკნელის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. 2013 წლის არჩევნების შემდეგ, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, პრეზიდენტს შეეზღუდა უფლებები და იგი აღარ წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ეწყობა წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის აპრილის მეორე კვირა დღეს, ხოლო მისი ინაუგურაცია იმართება პრეზიდენტის

არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს. ის ამ დღეს წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს.

საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტს. ის ღებულობს ზომებს საქართველოს სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაცვის მიზნით. ამავე, დროს ის არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

მის უფლებამოსილებას განეკუთვნება მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა, სახელმწიფო ჯილდოების მინიჭება, უმაღლესი სამხედრო, საგანგებო და საპატიო წოდების მინიჭება, მსჯავრდებულთა შეწყალება. საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

პრეზიდენტის უფლებამოსილებაა, დანიშნოს პარლამენტის და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები. ის ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს, მთავრობის შემადგენლობას წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად, კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. ასევე, საქართველოს პარლამენტს, კონსტიტუციის თანახმად უფლება აქვს გადააყენოს პრეზიდენტი, თუ მის მიერ ჩადენილი კონსტიტუციის დარღვევა დადასტურდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სახელმწიფოს ლაღატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.

თუ საქართველოს პრეზიდენტი ვეღარ ასრულებს თავის უფლებამოსილებას ჯანმრთელობის და სხვა მდგომარეობის გამო ან უფლებამოსილება ვადამდე აღრე შეწყდა - მის მოვალეობას ასრულებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

7.1. ტერმინი „პრეზიდენტი“ წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „პრესიდენს“ და იხმარება მშობლის, მამის მნიშვნელობით.

7.2. საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი შემოღებული იქნა 1991 წლის 14 აპრილის კანონით.

7.3. პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ეწყობა წინა არჩევნების ჩატარებიდან მომდევნო წელს.

7.4. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტს.

7.5. პრეზიდენტის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება მოქალაქეობის საკითხის გადანყვეტა.

7.6. პრეზიდენტის უფლებამოსილებაა დანიშნოს პარლამენტის და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები.

8. ჩასვით სიტყვები; დაუკვირდით წინადადების კონსტრუქციას და ენობრივ ფორმებს:

- პრეზიდენტი წარმოადგენს ის
- გარანტს.
- პრეზიდენტის უფლებამოსილებაა
- პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება
- თუ ვადაზე ადრე შეწყდა პრეზიდენტის უფლებამოსილება
-

9. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

არჩევნებს პარლამენტი მისაღებად პრეზიდენტი თავმჯდომარე წევრს

- ის ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ
- პრეზიდენტი მთავრობის შემადგენლობას წარუდგენს პარლამენტს ნდობის
- პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე
- პარლამენტს, კონსტიტუციის თანახმად, უფლება აქვს გადააყენოს
- თუ საქართველოს პრეზიდენტი ვედარ ასრულებს თავის უფლებამოსილებას, მის მოვალეობას ასრულებს საქართველოს პარლამენტის
- პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს

10. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

10.1. რას ნიშნავს სიტყვა „პრეზიდენტი და საიდან მომდინარეობს იგი?

10.2. როდის იქნა შემოღებული საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი?

10.3. როდის ეწყობა პრეზიდენტის არჩევნები? როდის იმართება ინაუგურაცია?

10.4. როგორ ტარდება ინაუგურაცია?

10.5. რა არის პრეზიდენტის უფლებამოსილება?

10.6. ვის შეუძლია პრეზიდენტის გადაყენება და რა შემთხვევაში?

10.7. რა შემთხვევაში ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას პარლამენტის თავმჯდომარე?

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

13. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

14. შეადგინეთ გეგმა.

15. გვეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

16. დაწერეთ მცირე ესე: „მე რომ პრეზიდენტი ვიყო...“

საშინაო დავალება:

17. წაკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გვეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 22
საქართველოს პარლამენტი

1. დაუკვირდით სიტყვებს:

- საკანონმდებლო
- საარჩევნო
- საყოველთაო
- საგამოძიებო
- საკონსტიტუციო
- საშემოდგომო
- საგაზაფხულო

2. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება ეს სიტყვები? რომელი თავსართ-ბოლოსართი გამოიყოფა? ჩამოთვალეთ ტერმინები, რომლებიც ასევე იწარმოება.

3. მოიძიეთ ამ სიტყვათა განმარტებები და ამოიწერეთ:

4. წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი არის საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც იქმნება წარმომადგენლობითი პრინციპის საფუძველზე.

ქვეყნის ძირითადი კანონი ადგენს, რომ სახელმწიფო „ხელისუფლების წყაროა ხალხი“, რომელიც თავის ხელისუფლებას მის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს.

საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლიდან, რომელიც არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განვევა დაუშვებელია. ე. ი. ის მთელი ხალხის წარმომადგენელია და არა მისი ამომრჩევლის წარმომადგენელი; ამდენად, ის არ არის დამოკიდებული მის ამომრჩეველზე.

საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი წესით, ფარული კენჭისყრით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 პარლამენტის წევრისგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა არის ოთხი წელი.

პარლამენტის ძირითადი კომპეტენცია - ეს არის საკანონმდებლო კომპეტენცია, რაც რეალიზდება კანონების მიღებით. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტი რამდენიმე სახის უფლებამოსილებას უკეთებს რეალიზაციას: - მას საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე უფლება აქვს, თვითონ შეიტანოს კანონპროექტი (პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია, პარლამენტის კომიტეტი), განიხილოს იგი ჯერ საპარლამენტო კომიტეტში, ხოლო შემდეგ - პარლამენტის სხდომაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

პარლამენტის მნიშვნელოვანი კომპეტენციაა ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია და დენონსაცია.

რატიფიკაცია - ეს არის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დამტკიცება პარლამენტის მიერ, რითაც ის იძენს იურიდიულ ძალას. დენონსაცია - ესაა დადგენილი ფორმით სახელმწიფოს ნების გამომჟღავნება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

აუცილებლად სჭირდება რატიფიკაცია საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებებს, რომლებიც:

ა. ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორისო კავშირში საქართველოს შესვლას.

ბ. სამხედრო ხასიათისაა.

გ. ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახ-ფო საზღვრების შეცვლას და სხვა;

პარლამენტს აქვს მაკონტროლებელი ფუნქცია - სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით, მთავრობის საქმიანობაზე, მის წინაშე ანგარიშვალდებულია კონტროლის პალატა; მას უფლება აქვს კონკრეტული საკითხის დასმის შემდეგ შექმნას საგამოძიებო და დროებითი კომისიები.

პარლამენტი მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში, თანამდებობის პირთა არჩევასა და დამტკიცებაში.

პარლამენტი ირჩევს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ნდობას უცხადებს მთავრობას და მის სამუშაო პროგრამას, პრეზიდენტის წარდგენით ნიშნავს გენერალურ პროკურორს, ირჩევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს და სხვა.

საქართველოს პარლამენტის მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს სესიები, სხდომები, კომიტეტების და კომისიების სხდომები.

პარლამენტი იკრიბება წელიწადში ორჯერ – საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე. სესიის შემადგენელი ნაწილია პლენარული სხდომა, რომელიც უფლებამოსილია იმუშაოს, თუ მას ესწრება დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

7.1. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად პარლამენტი არის საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო.

7.2. სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ხელისუფლებას მის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს.

7.3. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 55 წლიდან.


7.4. საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 78 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 72 პარლამენტის წევრისგან.

7.5. პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადა არის ექვსი წელი.

7.6. პარლამენტის მნიშვნელოვან კომპეტენციას ასევე მიეკუთვნება საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია და დენონსაცია.

8. განმარტეთ, რას ნიშნავს რატიფიკაცია. მოიყვანეთ მაგალითები.

9. დაუკვირდით სქემას და ააგეთ მსჯელობა მასზე დაყრდნობით.



10. უპასუხეთ კითხვებს წერილობით.

10.1. რა არის პარლამენტი?

10.2. ვინ შეიძლება აირჩეს საქართველოს პარლამენტის წევრად?

10.3. რამდენი წევრისგან შედგება საქართველოს პარლამენტი და როგორაა ეს წევრები არჩეული?

10.4. რა არის პარლამენტის ძირითადი კომპეტენცია?

10.5. რას ნიშნავს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია და დენონსაცია და ვისი კომპეტენციაა ეს?

10.6. რომელ საერთაშორისო ხელშეკრულებებს სჭირდება რატიფიკაცია?

10.7. რა ფუნქცია აქვს კონტროლის პალატას?

10.8. ვინ ირჩევს პარლამენტს?

10.9. როგორია პარლამენტის მუშაობის ძირითადი ფორმა?

10.10. როდის იკრიბება პარლამენტი? რა არის სესია? პლენარული სხდომა?

11. დაუკვირდით ენობრივ ფორმებს; შეადგინეთ წინადადებები:

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად...

ქვეყნის ძირითადი კანონი, კონსტიტუცია აღგენს, რომ...

პარლამენტის ძირითადი კომპეტენციაა...

პარლამენტი: ირჩევს... იკრიბება... უფლებამოსილია...


12. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

13. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

14. შეადგინეთ გეგმა.

თემა 23 საქართველოს მთავრობა

1. დაუკვირდით სქემას. მისი დახმარებით ააგეთ მსჯელობა:



2. შეადგინეთ წინადადებები სამინისტროთა დასახელებების გამოყენებით:

ნიმუში: იუსტიციის სამინისტროში გასულ კვირას სხდომა გაიმართა.

3. დაიყავით ჯგუფებად და იმსჯელეთ, თუ რას კურირებს თითოეული სამინისტრო.

4. წაიკითხეთ ტექსტი.

საქართველოს მთავრობა

ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა, რომლის უფლებამოსილების ფარგლებში ხდება პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელება.

მთავრობა თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პრეზიდენტი ასევე უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობის აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს საკანონმდებლო აქტებს და პრეზიდენტის აქტებს.

მთავრობის სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება მთავრობის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი.

მთავრობა კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებებს და განკარგულებებს, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად შექმნილ სამინისტროებს სათავეში უდგას მინისტრი, რომელთა კანდიდატურას შეარჩევს პრემიერ-მინისტრი.

სამინისტროს მმართველობის სფერო განისაზღვრება სამინისტროს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მთავრობა, გარდა შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების და თავდაცვის სამინისტროს დებულებებისა. ამ უკანასკნელთ ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მინისტრი კანონის შესასრულებლად და მის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად სახელმწიფო მინისტრის დანიშვნა ხდება პრემიერ-მინისტრის მიერ პრეზიდენტთან შეთანხმებით. სახელმწიფო მინისტრი ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ის ასრულებს მთავრობის და პრემიერ-მინისტრის კონკრეტულ დავალებებს.

პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, მთავრობის წევრს ცალკე საკითხთა შესწავლის მიზნით შეუძლია შექმნას სათათბირო ორგანოები კომისიების და საბჭოების სახით, რომლებიც მათ წინაშე წარადგინენ დასკვნებს.

მთავრობის წევრს უფლება არ აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, დაათუძნოს სანარმო, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობისა.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

7.1. ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა.

7.2. მთავრობა თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

7.3. მთავრობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.

7.4. მინისტრი კანონის შესასრულებლად და მის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებებს.

7.5. მთავრობის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა.

8. შეაჯამეთ წინა ლექციებზე მიღებული მიღებული ცოდნა და შეავსეთ ცხრილი:
რას საქმიანობს:

პრეზიდენტი	პრემიერ-მინისტრი	პარლამენტის თავმჯდომარე

9. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

9.1. ვინ უზრუნველყოფს ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას?

9.2. ვის წინაშეა მთავრობა პასუხისმგებელი თავისი საქმიანობით?

9.3. ვინ ხელმძღვანელობს მთავრობას?

9.4. როლის არის მთავრობის სხდომა უფლებამოსილი, შეუდგეს მუშაობას?

9.5. ვინ აწერს ხელს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებსა და განკარგულებებზე?

9.6. ვინ არჩევს და ნიშნავს მინისტრებს?

9.7. , რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

9.8. რით განისაზღვრება სამინისტროს მმართველობის სფერო?

9.9. რას გამოსცემს მინისტრი კანონის შესასრულებლად?

9.10. რის უფლება არ აქვს მთავრობის წევრს?

10. დაიმასხოვრეთ ენობრივი ფორმები და შეადგინეთ მათი გამოყენებით წინადადებები:

- მთავრობის სხდომა უფლებამოსილია
- შემაღვენილობის ნახევარზე მეტი
- ნორმატიული აქტების საფუძველზე
- ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი
- სათავეში უდგას
- პრეზიდენტთან შეთანხმებით

11. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

12. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

მთავრობა ნორმატიული ნორმატიული განხორციელება
პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილების აღმასრულებელი
ქვეყანაში ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს
საქართველოს , რომლის ფარგლებში ხდება
პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის
მთავრობა თავისი საქმიანობით პარლამენტის წინაშე.
მთავრობას ხელმძღვანელობს
მთავრობა კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის აქტების
საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს და განკარგულებებს,
რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

13. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

14. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

15. დაწერეთ მცირე ესე: „მინისტრთა კაბინეტის ფუნქციები“

16. შეადგინეთ გეგმა.

17. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

18. წაკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 24 ქორწინება

1. რას ნიშნავს ქორწინება? იმსჯელეთ.

2. ისაუბრეთ თქვენს სოფელში / ქალაქში / რეგიონში საქორწინო ადათ-წესების შესახებ.

3. წაიკითხეთ ტექსტი:

ქორწინება

ოჯახი საზოგადოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ოჯახზე ზრუნვა დადასტურებაა მორალური პრინციპების საფუძველზე იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგებისა, რომლებიც უკავშირდება ქორწინებას, ოჯახის წევრთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობათა განაწილებას, ოჯახის წევრთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობათა განაწილებას, ქორწინების შეწყვეტას და მათ შედეგებს. აღნიშნული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობას წარმოადგენს საოჯახო სამართალი, რომელიც სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ძირითადი ინსტიტუტია.

ქორწინება არის კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფილობითი კავშირი, რომელიც მათთვის ურთიერთსანაცვლო უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს. ქორწინება აუცილებლად უნდა იყოს დარეგისტრირებული რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში. დაქორწინებისათვის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს:

- საქორწინო ასაკი.
- დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.

საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. გამონაკლის შემთხვევებში დაიშვება 16 წლის ასაკიდან ქორწინება მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. ასეთი თანხმობა შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოს წესით, თუ არსებობს პატივსაღები მიზეზი.

დაქორწინება ხდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში დასაქორწინებელ პირთა მიერ არჩეული ადგილის მიხედვით, სადაც დასაქორწინებელ პირებს წინასწარ შეაქვთ განცხადება. ქორწინების რეგისტრაცია ხდება ორი მონმის თანდასწრებით. აუცილებელია დასაქორწინებელმა პირებმა მარეგისტრირებელ ორგანოში განაცხადონ, რომ მათ იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მათი თანხმობით დაქორწინება ტარდება საზეიმო ვითარებაში. დასაქორწინებელმა პირებმა განაცხადების შეტანის დროს უნდა მიუთითონ, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი

გარემოებები, რისთვისაც ისინი გაფრთხილებულები უნდა იყვნენ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ და რომ არსებობს პასუხისმგებლობა ამ გარემოებათა დაფარვისათვის.

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებებია და ქორწინება არ დაიშვება:

- ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან.
- ბ) პირდაპირ აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავეებს შორის;
- გ) ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას შორის;
- დ) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.

აღმავალი ხაზი - მშობლები;

მშვილებლები;

პაპა-ბებიები.

დაღმავალი ხაზი - შვილები;

შვილად აყვანილები;

შვილიშვილები.

უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების დაქორწინება საქართველოს მოქალაქეებთან ხდება საერთო საფუძველი, რაც ქორწინებისათვის საქართველოს კანონმდებლობით არის დადგენილი. საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ორგანოების ცნობა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი.

ხელმეორედ ქორწინების შემთხვევაში პირი ვალდებულია, ქორწინების რეგისტრაციას წარმოადგინოს მონშობა წინა ქორწინების შეწყვეტის შესახებ, ხოლო თუ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, მეორე მეუღლის ახალი ქორწინებისათვის აუცილებელია მეუღლის გარდაცვალების მონშობის წარდგენა.

4. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

6. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

7.1. ქორწინება არის კანონის მოთხოვნათა საფუძველზე ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფილობითი კავშირი.

7.2. ქორწინება არ უნდა იყოს დარეგისტრირებული რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში.

7.3. დაქორწინებისათვის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს: საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.

7.4. საქორწინო ასაკად დაწესებულია 50 წელი.

7.5. დაქორწინება ხდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში დასაქორწინებელ პირთა მიერ არჩეული ადგილის მიხედვით.

7.6. ქორწინება დაიშვება იმ პირთა შორის, რომელთაგან ერთი დაქორწინებულის სხვასთან.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

8.1. რა არის ოჯახი?

8.2. რა არის საოჯახო სამართალი და რას მოიცავს იგი?

8.3. რა არის ქორწინება?

8.4. რა უფლებებს და მოვალეობებს წარმოშობს ქორწინება?

8.5. რა არის აუცილებელი ქორწინებისათვის?

8.6. რა არის აუცილებელი პირობა დაქორწინებისათვის?

8.7. რა არის დაწესებული საქორწინო ასაკად? გამონაკლის შემთხვევებში?

8.8. სად ხდება დაქორწინება?

8.9. როგორ ხდება ქორწინების რეგისტრაცია?

8.10. რა არის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები?

8.11. რას ნიშნავს ნათესაობის აღმავალი და დაღმავალი ხაზი?

8.12. რა არის აუცილებელი საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის?

9. გაიხსენეთ, რა იცით საოჯახო სამართლიდან?

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

სამართალი თანდასწრებით თანხმობით გარემოებები კავშირი ნაწილია

ოჯახი საზოგადოების მნიშვნელოვანი შემადგენელი

აღნიშნული ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობას წარმოადგენს საოჯახო

ქორწინება არის კანონის მოთხოვნათა საფუძველზე ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფილობითი

გამონაკლის შემთხვევებში დაიშვება 16 წლის ასაკიდან ქორწინება მშობლების ან კანონიერ წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი

დაქორწინება ხდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში დასაქორწინებელ ქორწინების რეგისტრაცია ხდება ორი მონმის

დასაქორწინებელმა პირებმა განაცხადების შეტანის დროს უნდა მიუთითონ, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი

11. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

12. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელოთ.

13. დაიყავით წყვილებად და წარმოადგინეთ ქორწინების რეგისტრაციის იმიტაცია.

14. შეადგინეთ გეგმა.

15. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

16. დაწერეთ მცირე ესე: „სიყვარული და ქორწინება“

საშინაო დავალება:

17. წაკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 25

ქორწინების შეწყვეტა და ბათილობა

1. განმარტეთ სიტყვები და იმსჯელეთ, რომელი რა შემთხვევაში გამოიყენება:

ბათილი _____

ბათილობა _____

ბათილად ცნობა _____

2. შეადგინეთ ამ სიტყვებით წინადადებები:

3. გაიხსენეთ წინა თემა („ქორწინება“): წარმოადგინეთ 5-წუთიანი მოკლე პრეზენტაციები.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

ქორწინების შეწყვეტა და ბათილობა

ქორწინების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი:

– ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება;

კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადება;

– განქორწინება.

განქორწინება ხდება ორი წესით – სასამართლოს წესითა და მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელთაც არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და შეაქვთ ერთობლივი განცხადება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.

კანონი დაუშვებლად მიიჩნევს განქორწინებას ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ცოლის თანხმობის გარეშე.

შეთანხმების შემთხვევაში, განქორწინება ხდება ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებაში.

კანონი ასევე უშვებს მარეგისტრირებელ ორგანოში განქორწინების დაშვებას ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე. ასეთი შემთხვევა დასაშვებია იმ პირთან, რომელიც:

ა) კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად;

ბ) სულით ავადმყოფობას ან ჭკუასუსტობის გამო აღიარებულია ქმედუუნაროდ;

გ) სასამართლოს მიერ მსჯავრდებულთა დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებაში, განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

თუ მეუღლეთა შორის წარმოიშვა დავა ან მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, განქორწინების საქმეს განიხილავს სასამართლო სასარჩელო წესით. პირველ რიგში, სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად, მას უფლება აქვს, გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაენიშნოს ვადა შესარიგებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო, როცა აუცილებელია, იღებს ზომებს მცირეწლოვანი შვილებისა და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად. ასევე, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს სარჩო (ალიმენტი).

მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი ან დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი.

განქორწინებულ მეუღლეებს უფლება აქვთ, ხელახლა დაქორწინდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილება - ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

საოჯახო კანონმდებლობა, გარდა ქორწინების შეწყვეტისა, ცნობს ქორწინების ბათილობის საფუძვლებს.

ქორწინება შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად, თუ დარღვეულია დაქორწინების პირობები (ასაკი და თანხმობა); ქორწინება მოხდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების პირობებში; და ქორწინების რეგისტრაცია არ ისახავს ოჯახის შექმნას (ფიქტიური ქორწინება).

ქორწინება ბათილად შეიძლება ცნოს მხოლოდ სასამართლომ. იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში მეუღლეებს შეუძლიათ აღძრან სასარჩელო ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ. ფიქტიური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ, სასარჩელოს აღძვრის უფლება აქვს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებაში. ასეთი ქორწინება არ შეიძლება ცნობილი იქნეს ფიქტიურად, თუ რეგისტრირებულ პირებს სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ფაქტობრივად უკვე შექმნილი აქვთ ოჯახი.

ბათილად ცნობილი ქორწინება. ბათილად ითვლება ქორწინების რეგისტრაციის დღიდან და არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლოს უფლება აქვს, იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ (კეთილსინდისიერი მეუღლე), მიაკუთვნოს მეორე მეუღლისაგან სარჩო, ხოლო ქონების გაყოფისას იხელმძღვანელოს

მოქმედი კანონმდებლობით. არ შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ქორწინების გაბათილება ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ააგეთ წინადადებები:

7. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

აქტების დაუშვებლად ურთიერთშეთანხმებით არასრულწლოვანი განცხადების თანხმობის მარეგისტრირებელ განქორწინება

განქორწინება ხდება ორი წესით_სასამართლოს წესითა და მეუღლეთა, რომელთაც არა ჰყავთ შვილები და შეაქვთ ერთობლივი განცხადება სამოქალაქო რეგისტრაციის ორგანოში. კანონი მიიჩნევს განქორწინებას ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ცოლისგარეშე. შეთანხმების შემთხვევაში ხდება ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კანონი ასევე უშვებს

..... ორგანოში განქორწინების დაშვებას ერთ-ერთი მეუღლის
საფუძველზე.

8. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

9. დაუკვირდით ზმნებს ენობრივ კონსტრუქციებში და შეადგინეთ მათზე ახალი წინადადებები.

კანონი დაუშვებლად მიიჩნევს...
კანონი უშვებს...
უფლება აქვს დაენიშნოს...
არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს...
სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას...
უფლება აქვს ატაროს გვარი...
ცნობილი იქნეს ბათილად...
შეიძლება ბათილად ცნოს...
სასამართლოს უფლება აქვს...
სასამართლოს უფლება აქვს იხელმძღვანელოს მოქმედი
კანონმდებლობით...
არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს...

10. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

10.1. კანონი დასაშვებად მიიჩნევს განქორწინებას ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ცოლის თანხმობის გარეშე.

10.2. შეთანხმების შემთხვევაში განქორწინება ხდება ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

10.3. კანონი ასევე უშვებს მარეგისტრირებელ ორგანოში განქორწინების დაშვებას მხოლოდ ორივე მეუღლის განცხადების საფუძველზე.

10.4. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებაში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

10.5. თუ მეუღლეთა შორის წარმოიშვა დავა, ან მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, განქორწინებას საქმეს განიხილავს სასამართლო, სასარჩელო წესით.

10.6. მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი ან დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი.

11. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

11.1. რა არის ქორწინების შეწყვეტის საფუძველი?

11.2. როგორ ხდება განქორწინება?

11.3. როდის არის დაუშვებელი განქორწინება?

11.4. რა შემთხვევაში შეიძლება განქორწინება მარეგისტრირებელ ორგანოში?

11.5. როგორ ხდება განქორწინება არასრულწლოვანი შვილების ყოლის შემთხვევაში?

11.6. რა ვადა ენიშნება მეუღლეებს შესარიგებლად?

11.7. რა გადანყვეტილებები გამოაქვს სასამართლოს განქორწინების შესახებ?

11.8. რა ხდება გვართან დაკავშირებით განქორწინების შემთხვევაში?

11.9. რა შემთხვევაში შეიძლება ბათილად ცნონ ქორწინება?

11.10. რა უფლება აქვს „კეთილსინდისიერ მეუღლეს“?

12. გაიყოს ჯგუფი ორ ნაწილად. ერთი მხარე წარმოადგენს სასამართლოს, მეორე - მოქალაქეებს, რომელთაც განქორწინება სურთ.

13. შეადგინეთ ტექსტები ყოველი ეტაპის პროცედურისათვის.

14. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

15. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

16. დანერეთ მცირე ესე: „როდის ხდება აუცილებელი განქორწინება?“

17. შეადგინეთ გეგმა.

18. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

19. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დანერეთ მისი შინაარსი.

თემა 26

მშობლების და შვილების ურთიერთობა

1. გაიხსენეთ, რას ნიშნავს სიტყვა „შობა“ (შობს); მოიძიეთ განმარტება ქეგლ-ში და ამოიწერეთ:

2. იმსჯელეთ, როგორაა ნაწარმოები სიტყვა „მშობელი“; გამოყავით მანარმოებლები და თქვენი სიტყვებით განმარტეთ.

მშობელი

3. სიტყვა „შვილი“ ასევე უკავშირდება „შობა“ (შობს) ზმნას: „შობს“ – „შვა“ – „შვილი“ / იგივე „შობილი“. დაასახელეთ, კიდევ რა სიტყვები უკავშირდება „შობას“...

4. წაიკითხეთ ტექსტი:

მშობლებისა და შვილების ურთიერთობა

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს ბავშვის დაბადება რეგისტრირებულ ქორწინებაში და სისხლით ნათესაობა.

ბავშვის დაბადება იურიდიულ ფაქტად იქცევა მას შემდეგ, რაც მოხდება მისი რეგისტრაცია სახელმწიფო ორგანოში.

დედასა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის საკმარისია ბავშვის დაბადების ფაქტი, ხოლო რაც შეეხება მამასა და შვილს შორის მსგავსი ურთიერთობის წარმოშობას, ის ძირითადად დაკავშირებულია ქორწინების ფაქტთან ან მამობის დადგენის წესთან.

მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილი ურთიერთობა მრავალმხრივია. მათში მთავარია შვილების აღზრდასთან დაკავშირებული ურთიერთობა. მშობლები უნდა ზრუნავდნენ შვილების ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის.

არასრულწლოვანი შვილების და ინტერესების დაცვა ეკისრებათ მათ მშობლებს, რომლებიც მათი კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდიან მათი უფლებების და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში და სასამართლოშიც.

შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლებები აქვთ და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები, მაშინაც კი, თუ ისინი განქორწინებულნი არიან. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით.

მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს ბავშვთან და ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში.

მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და არაპრომისუენარო სრულწლოვანი შვილებიც, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ. თუ მშობლები შვილების რჩენის მოვალეობას ნებაყოფლობით არ ასრულებენ, მაშინ სასამართლო დააკისრებს მათ გარკვეული ალიმენტის გადახდას. მშობლებს ასევე შეიძლება დაეკისროთ დამატებითი ხარჯები, რაც გამოწვეულია ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებითა და სხვა გარემოებებით. საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით, თუ მშობლები თავიანთ უფლება-მოვალეობებს შვილის აღზრდაში ამ უკანასკნელთა ინტერესების სანაღმდეგოდ იყენებენ, შეიძლება დაისვას მათთვის ან ერთ-ერთი მათგანისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა, რაც ხდება სასამართლოს მეშვეობით. თუ მშობლის უფლება ჩამოერთვა ორივე მშობელს, მაშინ ბავშვი აღსაზრდელად გადაეცემა მეურვეებს ან საბავშვო დაწესებულებას.

მშობლის უფლება:

უფლება ჩამორთმეული მშობელი კარგავს ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას იმ შვილთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება. ხოლო შვილი, რომლის მშობელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება, ინარჩუნებს უფლებას საცხოვრებელ სახლზე, ასევე - მემკვიდრეობის მიღების უფლებას. უფლება ჩამორთმეულ მშობელს შეიძლება მიეცეს ბავშვის ნახვის უფლება, თუ ის ცუდ გავლენას არ მოახდენს მასზე.

მშობლის უფლების აღდგენას კანონი ითვალისწინებს, თუ მისი ყოფაქცევა და ცხოვრების პირობები შეიცვალა, რითაც მას ეძლევა შესაძლებლობა, ბავშვის აღზრდაში მიიღოს მონაწილეობა. თუ ბავშვს შეუსრულდა 10 წელი, სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის სურვილსაც. მშობლის უფლების აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართაც, რომელიც სხვამ იშვილა.

შვილის უფლებებით სარგებლობს შვილად აყვანილი ბავშვიც, ისევე, როგორც მშვილებელი იკავებს მშობლის ადგილს. მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, ხოლო შვილება დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის.

მხოლოდ მეუღლეებს აქვთ უფლება, ერთი ბავშვი იშვილოს ორმა პირმა.

მშვილებელი შვილად ასაყვანზე უფროსი უნდა იყოს 16 წლით მაინც.

მშვილებლები, მათი თხოვნით, დაბადების ჩანერის წიგნში შეიძლება ჩაინეროს ნაშვილების მშობლებად, რაც აღინიშნება სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

7.6. შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლებები აქვთ და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

8.1. რა არის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი მშობლებსა და შვილებს შორის?

8.2. როდის იქცევა ბავშვის დაბადება იურიდიულ ფაქტად?

8.3. რა განსხვავებაა დედასა და შვილს და მამასა და შვილს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს შორის?

8.4. რა არის მშობლის მოვალეობა?

8.5. ვის ეკისრება არასრულწლოვნების ინტერესების დაცვა?

8.6. როგორი უფლებები აქვთ დედას და მამას შვილის მიმართ?

8.7. რა შემთხვევაში შეიძლება დაისვას მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხი?

8.8. რა უფლებებს ინარჩუნებს შვილი, რომლის მშობლებსაც მშობლის უფლება აქვთ ჩამორთმეული?

8.9. ვინ შეიძლება იშვილოს ბავშვი?

8.10. რა ასაკობრივი ზღვარი უნდა არსებობდეს მშვილებელსა და ნაშვილებს შორის?

8.11. რა გადანწყვეტილებას იღებს სასამართლო შვილად აყვანის შემთხვევაში?

9. ჯგუფი გაიყოს ორად: წარმოადგინეთ სასამართლო სხდომა:

I. შვილად აყვანისა;

II. მშობლის უფლების ჩამორთმევისა.

შეადგინეთ ტექსტები ყოველი ეტაპის პროცედურისათვის.

10. ჩასვით მრავალწერტილის ნაცვლად:

*არაპრომისუენარო ვალდებულნი სოციალური მრავალმხრივია დაბადების
სამართლებრივი რეგისტრირებულ ურთიერთობა*

მშობლებს და შვილებს შორის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს ბავშვის დაბადება ქორწინებაში და სისხლით ნათესაობა.

დედასა და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის საკმარისია ბავშვის ფაქტი. მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილი ურთიერთობა მათში მთავარია შვილების აღზრდასთან დაკავშირებული მშობლები უნდა ზრუნავდნენ შვილების ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და განვითარებისათვის.

მშობლები არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და სრულწლოვანი შვილებიც.

11. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

12. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

13. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

14. შეარჩიეთ რამდენიმე მონაწილე პირი და წარმოადგინეთ სასამართლო სხდომის იმიტაცია, რომელზეც განიხილება შვილად აყვანის საკითხი.

15. დაწერეთ ესე: „კონფლიქტი მამათა და შვილთა შორის“ (ნიმუში: ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოლემიკა მე-19 საუკუნეში).

თემა 27

მეურვეობა და მზრუნველობა

1. მოიძიეთ ქველ-ში სიტყვა „ზრუნავს“ და ამოიწერეთ განმარტება:

2. დაუკვირდით სიტყვა „მზრუნველობას“. იმსჯელეთ, როგორაა იგი ნაწარმოები.

მზრუნველობა

3. გაიხსენეთ წინა ტექსტი („მშობლების და შვილების ურთიერთობა“) და წარმოადგინეთ მოკლე პრეზენტაციები.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

მეურვეობა და მზრუნველობა

არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებსაც მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობლების ქმედუუნაროდ ცნობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე, უნესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა პირადი ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მეურვეობა და მზრუნველობა უნესდება აგრეთვე სრულწლოვან პირებს მათი პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ კანონიერი მოვალეობები.

მეურვეობა ნესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის ან პირზე, რომელიც სასამართლომ აღიარა ქმედუუნაროდ. არასრულწლოვნად პირი ითვლება 7 წლიდან 18 წლამდე. მეურვეობა სრულწლოვან პირზე ნესდება მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები სასამართლოს მიერ მზრუნველობა სრულწლოვან პირს შეიძლება დაუნესდეს, თუ ის ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

არასრულწლოვანი პირის მეურვეობა და მზრუნველობა ეკისრება განათლების ადგილობრივ ორგანოს, ხოლო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირისა –

ჯამრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს, რაც შეეხება ქმედუნარიან პირს, რომელიც ჯამრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს მზრუნველობას, მას დახმარებას უწევს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები.

მეურვეობისა და მზრუნველობის დანერგვა შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი არ ცხოვრობს მშობლებთან და ეს უკანასკნელნი თავის არიდებენ მისი აღზრდის მოვალეობას. თუ ბავშვი ცხოვრობს მშობლებთან, რომლებიც არ ასრულებენ მისი აღზრდის მოვალეობებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ასეთი მშობლებისათვის ბავშვის ჩამორთმევისა და მისი მეურვეობაში ან მზრუნველობის ქვეშ გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად.

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირის ქმედუნაროდ აღიარების თაობაზე, მოვალეა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს სამი დღისა აცნობოს ამის შესახებ მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მეურვის და მზრუნველის დანიშვნა ხდება მხოლოდ მათი თანხმობით, არა უგვიანეს ერთი თვისა ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან.

კანონი ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებიც არ შეიძლება დაინიშნონ მეურვედ ან მზრუნველად, ესენი არიან:

- _ პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის;
- _ პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუნაროდ;
- _ პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება;
- _ მშვილებელი, თუ შვილად აყვანა გაუქმდა იმის გამო, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა მშვილებლის მოვალეობას.

_ პირი, რომელიც უკვე იყო მეურვე ან მზრუნველი და განთავისუფლდა ამ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის.

მეურვეობისა და მზრუნველობის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მეურვეობის და მზრუნველობის მოვალეობები სრულდება უსასყიდლოდ. ისინი მოვალენი არიან, იზრუნონ სამეურვეო (სამზრუნველო) პირის რჩენისათვის, უზრუნველყონ მოვლით და მკურნალობით, დაიცვან მისი უფლებები და ინტერესები. ისინი ამ პირთა სახელით და მათი ინტერესების გათვალისწინებით დებენ აუცილებელ გარიგებებს. არ შეიძლება სამეურვეო პირის სახელით დადონ ჩუქების ხელშეკრულება. მათი მოქმედება შეიძლება გაასაჩივროს დაინტერესებულმა პირმა და დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისას მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო გაათავისუფლებს მას. მეურვეობის და მზრუნველობის შეწყვეტა ხდება კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- 7.1. მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მოუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის.
- 7.2. მეურვეობა სრულწლოვან პირზე წესდება მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები.
- 7.3. არასრულწლოვანი პირის მეურვეობა და მზრუნველობა ეკისრება პროკურატურას.
- 7.4. მეურვეობისა და მზრუნველობის დანესება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ცხოვრობს მშობლებთან და ეს უკანასკნელნი თავის არიდებენ მისი აღზრდის მოვალეობას.
- 7.5. მეურვის და მზრუნველის დანიშვნა ხდება მხოლოდ მათი თანხმობით, არა უგვიანეს ერთი თვისა ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან.
- 7.6. მეურვეობისა და მზრუნველობის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

- 8.1. ვის უწესდება მეურვეობა და მზრუნველობა?

8.2. რომელი ასაკის პირი ითვლება არასრულწლოვნად?

8.3. როდის უნესდება ბავშვს მეურვეობა?

8.4. როდის უნდა ეცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ?

8.5. როგორ ხდება მეურვის და მზრუნველის დანიშვნა?

8.6. ვინ არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად?

8.7. რა ვალდებულებები ეკისრება მეურვეებს?

8.8. რა შემთხვევაში ხდება მეურვეობის შეწყვეტა?

9. გაიყავით ორ ჯგუფად. ერთმა მხარემ წარმოადგინოს სასამართლო, ხოლო მეორემ – მოსარჩელე მხარე. განვლილი მასალიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი საკითხი, შეადგინეთ ტექსტები ყოველი ეტაპის პროცედურისათვის.

10. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მზრუნველად ასაკისათვის სასამართლოს ორგანოს მოვალეობები

მეურვეობა და მზრუნველობა უნესდება აგრეთვე სრულწლოვან პირებს მათი პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ კანონიერი

მეურვეობა ნესდება ბავშვზე, რომელსაც არ მოუღწევია შვიდი წლის

არასრულწლოვანი პირის მეურვეობა და მზრუნველობა ეკისრება განათლების ადგილობრივ

თუ ბავშვი ცხოვრობს მშობლებთან, რომლებიც არ ასრულებენ მისი აღზრდის მოვალეობებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მიმართოს მეურვის და მზრუნველის დანიშვნა ხდება მხოლოდ მათი თანხმობით, არა უგვიანეს ერთი თვისა ასეთი გადანაცვტილების მიღებიდან.

კანონი ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებიც არ შეიძლება დაინიშნონ მეურვედ ან

11. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

12. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

13. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

14. შეარჩიეთ რამდენიმე მონაწილე პირი და წარმოადგინეთ სასამართლო სხდომის იმიტაცია, რომელზეც განიხილება მეურვეობის საკითხი.

15. დაწერეთ ესე: „მეურვეობა არასრულწლოვან ობოლ ბავშვზე“.

16. შეადგინეთ გეგმა.

17. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

18. წაკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 28

ადამიანის უფლებები

1. შეაჯამეთ წინა თემები: „მშობლების და შვილების ურთიერთობა; მეურვეობა და მზრუნველობა“. იმსჯელეთ.
2. რა გსმენიათ ადამიანის უფლებების შესახებ? მოამზადეთ მცირე ზომის პრეზენტაციები ამ თემაზე.
3. რას ნიშნავს „უმცირესობა“? „უმრავლესობა“? თქვენი აზრით, რა უფლებები და მოვალეობები აქვს თითოეულ მათგანს?
4. ჩამოწერეთ, ვის მიიჩნევთ უმცირესობად; გამოთქვით თქვენი აზრი, როგორ უნდა იქნეს დაცული მათი უფლებები:

5. წაიკითხეთ ტექსტი:

ადამიანის უფლებები; ევროპის საბჭოს ძირითადი დანიშნულება

ევროპის საბჭოს ძირითადი დანიშნულებაა ადამიანის უფლებათა დაცვა და მათი დამკვიდრების ხელშეწყობა. ევროპის საბჭო მდებარეობს ქალაქ სტრასბურგში (საფრანგეთი). საბჭოს საქმიანობა მიზნად ისახავს მის წევრ სახელმწიფოთა მოსახლეობის წინაშე წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად საერთო პოლიტიკის შემუშავებას.

პირველი ევროპული პოლიტიკური ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებიდან აღმოცენდა. საბჭო დაარსდა ლონდონში 1949 წლის მაისში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნიდან ოთხი წლის შემდეგ. ევროპის საბჭოს წესდებას საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა და კანონის უზენაესობა. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას კანონი უნდა იცავდეს და გამუდმებულად განამტკიცებდეს. წესდება კიდევ უფრო შორს მიდის: მასში ნათქვამია, რომ წევრ სახელმწიფოებში ჩადენილი ადამიანის უფლებათა ნებისმიერი სერიოზული

დარღვევა იძლევა წევრობის შეჩერების ან ამ სახელმწიფოს საბჭოდან გარიცხვის საფუძველს.

ჯერ კიდევ 1948 წელს გადაიდგა ისტორიული ნაბიჯი - მიიღეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელშიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო ხასიათი და ხელშეუხებლობა. ევროპის საბჭომ, თავის მხრივ, გამოამუშავა მზადყოფნა, დამდგარიყო ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე და 1950 წელს მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ორგანიზაციაში განწევრიანების აუცილებელი პირობა გახდა ამ კონვენციის რატიფიცირება. 1961 წელს მიიღეს კონვენციის ანალოგიური დოკუმენტი ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროში: ევროპის სოციალური ქარტია. დაარსებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგაც ევროპის საბჭოს საქმიანობას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მეტიც, მისი როლი კიდევ უფრო გაიზარდა იმ სერიოზული ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული მოხდა. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში დახმარების განწევრა, ახალი წევრებისა და განწევრიანების კანდიდატებისთვის დემოკრატიის განმტკიცებაში ხელშეწყობა - ეს არის ევროპის საბჭოს ამოცანა, რომლის შესასრულებლადაც მან გააორმაგა თავისი ძალისხმევა. ევროპის საბჭოში, რომელიც ჭეშმარიტად პანევროპული ორგანიზაციაა, 2005 წლის დეკემბრისთვის 46 წევრი სახელმწიფო შედიოდა. საბჭოში განწევრიანება სხვა სახელმწიფოებსაც შეუძლიათ. განწევრიანების პირობაა სახელმწიფოში დემოკრატიის არსებობა.

ევროპის საბჭოს მოღვაწეობა ადამიანის უფლებათა სფეროში (იგულისხმება როგორც კონვენციების მიღება, ისე სხვა სახის საქმიანობა) მოიცავს:

- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მექანიზმის საშუალებით;
- სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვას ევროპის სოციალურ ქარტიაში გათვალისწინებული მექანიზმის საშუალებით;
- თავისუფლებაღკვეთილი პირების დაცვას წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის რეგულარული ვიზიტების მეშვეობით;
- ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო-კონვენციის მეშვეობით;
- მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობას (მმართველი კომიტეტი ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის საკითხებში);
- რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლას (რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია);
- საინფორმაციო საშუალებებში აზრისა და ინფორმაციის გამოხატვის თავისუფლების, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანას შორის იდეების გაცვლისა და კომუნიკაციის თავისუფლების განმტკიცებას;

- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცოდნის დამკვიდრების ხელშეწყობას.

6. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

7. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით აავსეთ წინადადებები:

8. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- 8.1. ევროპის საბჭოს ძირითადი დანიშნულებაა ევროპელი ხალხის დაცვა.
- 8.2. ევროპის საბჭოს საქმიანობა მიზნად ისახავს მის წევრ სახელმწიფოთა მოსახლეობის წინაშე წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად საერთო პოლიტიკის შემუშავებას.
- 8.3. პირველი ევროპული პოლიტიკური ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებიდან აღმოცენდა.
- 8.4. საბჭო დაარსდა პარიზში, 1949 წლის მაისში.
- 8.5. ევროპის საბჭოს წესდებას საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა და კანონის უზენაესობა.
- 8.6. 1948 წელს გადაიდგა ისტორიული ნაბიჯი - მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

8.7. ევროპის საბჭოში განწევრიანების პირობაა სახელმწიფოში მეფის არსებობა.

9. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

10. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

10.1. რა არის ევროპის საბჭოს ძირითადი დანიშნულება?

10.2. სად მდებარეობს ევროპის საბჭო?

10.3. როდის შეიქმნა პირველი ევროპული პოლიტიკური ორგანიზაცია?

10.4. რა უდევს საფუძვლად ევროპის საბჭოს წესდებას?

10.5. რა მოხდა 1948 წელს?

10.6. რომელ წელს მიიღეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია?

10.7. რამდენი წევრი ქვეყანაა ევროსაბჭოში?

10.8. რას მოიცავს ევროპის საბჭოს მოღვაწეობა ადამიანის უფლებათა სფეროში?

11. გაიყავით ორ ჯგუფად. ერთმა მხარემ წარმოადგინოს სასამართლო, ხოლო მეორემ – მოსარჩელე მხარე. განვლილი მასალიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი საკითხი, შეადგინეთ ტექსტები ყოველი ეტაპის პროცედურისათვის.

12. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შემუშავებას დეკლარაცია რატიფიცირება უზენაესობა კონვენცია ხელშეწყობა

ევროპის საბჭოს ძირითადი დანიშნულებაა ადამიანის უფლებათა დაცვა და მათი დამკვიდრების საბჭოს საქმიანობა მიზნად ისახავს მის წევრ სახელმწიფოთა მოსახლეობის წინაშე წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად საერთო პოლიტიკის ევროპის საბჭოს წესდებებს საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა და კანონის ჯერ კიდევ 1948 წელს გადაიდგა ისტორიული ნაბიჯი - მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო
ევროპის საბჭომ 1950 წელს მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპული
ორგანიზაციაში განვევრიანების აუცილებელი პირობა გახდა ამ კონვენციის

13. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

14. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

15. შეარჩიეთ რამდენიმე მონაწილე პირი და წარმოადგინეთ სასამართლო სხდომის იმიტაცია, რომელზეც განიხილება რელიგიური უფლების დაცვის საკითხი.

16. დაწერეთ ესე: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“.

17. შეადგინეთ გეგმა.

18. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

თემა 29

საქართველოს მოქალაქეობა

1. გაიხსენეთ, რა არის კონსტიტუცია.
2. რა ნაწილებისგან შედგენა საქართველოს კონსტიტუცია?
3. რა მიმართებაა კონსტიტუციასა და სხვა კანონებს შორის?
4. რას ნიშნავს „მოქალაქე“? მოიძიეთ ქველ-ში ამ ტერმინის განმარტება და ამოიწერეთ.
5. როგორაა ნაწარმოები ტერმინი „მოქალაქე“? თქვენი აზრით, რატომ არის ეს ტერმინი დაკავშირებული სიტყვა „ქალაქთან“?

მო-ქალაქ-ე

6. წაიკითხეთ ტექსტი:
საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის უფლებები და მოვალეობები
(ნაწყვეტები საქართველოს კონსტიტუციიდან)

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.
2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა.
საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.
3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადანაცვებილია მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.
3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადანაცვებილია მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.
2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის

სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.
2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.
2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.
3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.
4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. (27.12.2006 N4135)
3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. (27.12.2006 N4135)
4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება

აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

7. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

8. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

9. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- 9.1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.
- 9.2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეც.
- 9.3. საქართველო მთარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
- 9.3. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
- 9.4. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია.
- 9.5. ყველას არ აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

9.6. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

10. მოცემულია საქართველოს კონსტიტუციიდან სულ 12 მუხლი. დაწერეთ თითოეული მუხლის შესახებ, თუ რა საკითხს ეხება ის:

11. გაიყავით ორ ჯგუფად. ერთმა ჯგუფმა დასვას კითხვები მოქალაქეობის თემაზე (საქართველოს კონსტიტუციიდან); მეორე ჯგუფმა - უპასუხოს. 20 წუთის შემდეგ გაცვალეთ როლები.

12. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები მრავალწერტილის ნაცვლად:

*მოქალაქეობა ხელშეუვალი გაძევება პოლიტიკური წოდებრივი
თანასწორია ორგანული ნატურალიზაციით*

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და
საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება კანონით. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის დაუშვებელია. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. სიცოცხლე ადამიანის უფლებაა და მას იცავს კანონი.

13. ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა იურიდიული ტერმინი და დააჯგუფეთ: ცალკე - ნაწარმოები ტერმინები, ცალკე - საერთაშორისო ტერმინები. იმსჯელეთ, როგორ იწარმოება თითოეული მათგანი.

14. დაიყავით ჯგუფებად. ააგეთ სქემები ტექსტის მიხედვით.

15. სქემაზე დაყრდნობით (ტექსტის გამოყენებით) იმსჯელეთ.

16. შეარჩიეთ რამდენიმე მონაწილე პირი და წარმოადგინეთ სასამართლო სხდომის იმიტაცია, რომელზეც განიხილება მოქალაქის პატივისა და ღირსების შელახვის საკითხი.

17. დაწერეთ ესე: „მე საქართველოს მოქალაქე ვარ!“.

18. შეადგინეთ გეგმა.

19. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

საშინაო დავალება:

20. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერეთ მისი შინაარსი.

თემა 30

გახსოვდეთ თქვენი უფლებები წინასწარი დაკავების დროს

1. გაიხსენეთ, რას ნიშნავს სინონიმი. დაასახელეთ სინონიმების მაგალითები.
2. რას ნიშნავს დაკავება? მოძებნეთ მისი სინონიმები. მოიძიეთ ქველ-ში სიტყვა დაკავების განმარტება.
3. როდემდე ითვლება ადამიანი „წინასწარ დაკავებულად“? რას ნიშნავს ეს ტერმინი? იმსჯელეთ.

4. წაიკითხეთ ტექსტი:

გახსოვდეთ თქვენი უფლებები წინასწარი დაკავების დროს!

1. თუ გსურთ ადვოკატის დახმარება პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას, განუცხადეთ ამის შესახებ პოლიციას. ეს მომსახურება უფასოა.
2. თუ გსურთ ვინმეს აცნობოთ თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ, განუცხადეთ ამის შესახებ პოლიციას. ეს მომსახურება უფასოა.
3. თუ გსურთ გაეცნოთ მათ წესებს, განუცხადეთ ამის შესახებ პოლიციის თანამშრომლებს. ისინი ვალდებული არიან, გაგაცნონ ეს წესები.
4. თუ გჭირდებათ სამედიცინო დახმარება, განუცხადეთ ამის შესახებ პოლიციის თანამშრომლებს. სამედიცინო მომსახურება უფასოა.
5. თუ თქვენ დაგისვამენ კითხვებს დანაშაულის გარშემო, რომელზეც თქვენ ითვლებით ეჭვმიტანილად, არ ხართ ვალდებული, გასცეთ პასუხი. თუმცა, თუ დაკითხვისას არ ახსენებთ ფაქტებს, რაც მომავალში სასამართლოში დაგეხმარებათ, ამით შეიძლება ზიანი მიაყენოთ თქვენი დაცვის საქმეს. ნებისმიერი თქვენი ნათქვამი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც მტკიცებულება.
6. პოლიციის თანამშრომლები ვალდებული არიან, დაასახელონ ის დანაშაული, რაზეც თქვენ ითვლებით ეჭვმიტანილად, რის გამოც აგიყვანეს და იმყოფებით დაკავებული.
7. პოლიციის თანამშრომლები ვალდებული არიან, მოგცენ თქვენ ან თქვენს ადვოკატს საშუალება, გაეცნოთ ჩანაწერებს და დოკუმენტაციას, რომლებშიც აღნიშნულია, თუ რისთვის აგიყვანეს, რატომ ხართ დაკავებული და რამდენ ხანს დაჰყოფთ პოლიციაში.

8. თუ გჭირდებათ თარჯიმანი, პოლიციის თანამშრომლები ვალდებულები არიან, მოგიყვანონ სპეციალისტი. თქვენ გაქვთ უფლება, გადაათარგმნინოთ გარკვეული დოკუმენტაცია. ეს მომსახურება უფასოა.

9. აცნობეთ პოლიციის თანამშრომლებს, რომ თქვენ არ ხართ საქართველოს მოქალაქე და რომ გსურთ დაუკავშირდეთ თქვენი ქვეყნის საელჩოს ან საკონსულოს, ან შეატყობინონ მათ თქვენი დაკავების შესახებ. ეს მომსახურებაც უფასოა.

10. პოლიცია ვალდებულია, გაცნობოთ, რამდენ ხანს შეუძლიათ ჰყავდეთ დაკავებული.

11. თუ თქვენ წაგიყენეს ბრალდება და თქვენი საქმე გადაეცა სასამართლოს, თქვენ ან თქვენს ადვოკატს მოგცემენ უფლებას, სასამართლოს სხდომამდე გაეცნოთ ბრალდების მხარის მასალებს.

ადვოკატის დახმარების მიღება

- ადვოკატი გაგიწევთ დახმარებას და მოგცემთ რჩევებს კანონმდებლობის შესახებ.
- ადვოკატთან გასაუბრების მოთხოვნა არ ნიშნავს, რომ თქვენ ჩაიდინეთ დანაშაული.
- პოლიციის იზოლაციის თანამშრომელი ვალდებულია გკითხოთ, გსურთ თუ არა მიიღოთ იურიდიული კონსულტაცია. ეს მომსახურება უფასოა.
- პოლიცია ვალდებულია პოლიციის განყოფილებაში ყოფნის დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოგცეთ საშუალება, ესაუბროთ თქვენს ადვოკატს.
- თუ თქვენ ითხოვეთ იურიდიული კონსულტაცია, პოლიციის თანამშრომლებს, როგორც წესი, არ აქვთ უფლება, დაგისვან კითხვები, ვიდრე თქვენ არ მოგეცემათ საშუალება, ესაუბროთ ადვოკატს. როცა პოლიციის თანამშრომლები გისვამენ კითხვებს, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ოთახში თქვენი ადვოკატის დასწრების უფლება.
- თუ თქვენ თავიდან განუცხადეთ პოლიციას, რომ არ გსურთ იურიდიული კონსულტაცია, მაგრამ შემდეგ შეცვალეთ გადაწყვეტილება, მიმართეთ პოლიციის იზოლაციის თანამშრომელს და იგი დაგაკავშირებთ ადვოკატთან.
- თუ ადვოკატი არ გამოცხადდება ან არ დაგიკავშირდათ პოლიციის განყოფილებაში, ან თუ თქვენ გსურთ ესაუბროთ მას განმეორებით, სთხოვეთ პოლიციის თანამშრომლებს, რომ კვლავ დაუკავშირდნენ მას.

სამედიცინო დახმარების მიღება ავადმყოფობის ან დაშავების შემთხვევაში

- მიმართეთ პოლიციის თანამშრომლებს, თუ თავს ცუდად გრძნობთ, გჭირდებათ მედიკამენტი, ან დაშავდით... ისინი ექიმს, ექთანს ან მედიცინის სხვა სპეციალისტს გამოიძახებენ. ეს მომსახურება უფასოა.
- თქვენ შეიძლება ნება დაგართონ მიიღოთ თქვენი საკუთარი წამალი, მაგრამ პოლიციას ევალება მისი წინასწარ შემოწმება. როგორც წესი, პირველად ექთანი გინახულებთ, მაგრამ პოლიცია ექიმსაც გამოიძახებს საჭიროების შემთხვევაში.

შევიძლიათ სხვა ექიმი მოითხოვოთ, ასეთ შემთხვევაში - მომსახურების საფასური თქვენ უნდა დაფაროთ.

„დუმილის“ უფლება

- თუ დაგისვამენ კითხვებს დანაშაულის შესახებ, რომელზეც თქვენ ითვლებით ეჭვმიტანილად, თქვენ არ ხართ ვალდებული, უპასუხოთ.
- თუმცა, თუ დაკითხვისას არ მოიხსენიებთ ფაქტებს, რაც მომავალში სასამართლოში დაგეხმარებათ, ამით შეიძლება ზიანი მიაყენოთ თქვენი დაცვის საქმეს.
- ყოველი თქვენი ნათქვამი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც მტკიცებულება.

5. ამოიწერეთ ტექსტიდან თქვენთვის უცნობი სიტყვები და ფრაზები. მოიძიეთ ლექსიკონში განმარტებები.

6. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები:

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- 7.1. თუ გსურთ ადვოკატის დახმარება პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას, განუცხადეთ ამის შესახებ პოლიციას.
- 7.2. თუ გსურთ ვინმეს აცნობოთ თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ, განუცხადეთ ამის შესახებ პოლიციას. ეს მომსახურება უფასოა.
- 7.3. პოლიციის თანამშრომლები ვალდებული არ არიან დაასახელონ ის დანაშაული, რაზეც თქვენ ითვლებით ეჭვმიტანილად.
- 7.4. პოლიცია ვალდებულია დამალოს, რამდენ ხანს შეუძლია ჰყავდეთ დაკავებული.
- 7.5. ადვოკატი გაგიწევთ დახმარებას და მოგცემთ რჩევებს კანონმდებლობის შესახებ.
- 7.6. პოლიცია ვალდებულია, პოლიციის განყოფილებაში ყოფნის დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოგცეთ საშუალება ესაუბროთ თქვენს ადვოკატს.

8. წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

8.1. რა მომსახურებებია უფასო წინასწარი დაკავების საკანში?

8.2. ხართ თუ არა ვალდებული, უპასუხოთ კითხვებს დანაშაულის გარშემო?

8.3. რაში არიან ვალდებულები პოლიციის თანამშრომლები წინასწარი დაკავების საკანში? ჩამოთვალეთ

8.4. რაში დაგეხმარებათ ადვოკატი წინასწარი დაკავების საკანში?

8.5. ვის გამოიძახებს პოლიციის თანამშრომელი, თუ თავს ცუდად გრძნობთ?

8.6. რას ნიშნავს „დუმილის უფლება“?

14. გეგმის მიხედვით გადმოეცით ტექსტის შინაარსი თხრობით.

15. შეარჩიეთ გავლილი მასალიდან რომელიმე თემა და მოამზადეთ პრეზენტაცია.
დანერეთ ამ თემის მოკლე შინაარსი.

საშინაო დავალება:

16. წაიკითხეთ ტექსტი სახლში კიდევ ერთხელ და შედგენილი გეგმის მიხედვით
დანერეთ მისი შინაარსი.
